ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 22 დეკემბერი, 2022 | №252 (9030) | ფასი: 80 თეთრი

35 წლის კაცი მამის მკვლელობას აღიარებს, ოჯახი კი უარყოფს

გვ.5

გვ.5

ლენტეხის მერს თავს დაესხნენ

„მიშა-ბიძინათი, „ოცნების“ და ნაცების გაუშვი-დაიჭირეთი ჩხუბით ევროპულ პერსპექტივას ვკარგავთ“

გვ.2

იაგო ხვიჩია: „ნაცმოძრაობამ უნდა დაიწყოს სიმართლის ლაპარაკი. სადაც ბოდიშია მოსახდელი, იქ ბოდიში უნდა მოიხადონ“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ხელების გადაგრეხვამდეა ყველაფერი დასული. პოლიტიკური დაპირისპირება წარმოუდგენელია ადამიანის სიცოცხლეზე, ზოგადად, ჰუმანიტარულ საკითხზე გადიოდეს“

„ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სათავისოდ იყენებს სააკაშვილის საკითხს“

გიორგი სააკაშვილი: „მიშა არის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე“

გვ.3

ვოლოდიმირ ზელენსკი ვაშინგტონში ჩავიდა

გვ.3

გვ.4

ნიკა მელია: „არ უნდა დავუშვათ, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მოკლან“

პრემიერ-მინისტრის დავალებით, უკრაინაში საქართველოდან 25 ერთეული მაღალი სიმძლავრის გენერატორი გაიგზავნა

გვ.3

გვ.4

ბელარუსის ჯარი პუტინ-ლუკაშენკოს უმხედრდება?

ბრიტანელი დიპლომატი სანქციებს ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგაც მოითხოვს

2 30 ყალბი ანგარიში და 12 ყალბი ფეისბუქმომხმარებელი – ტროლების მობილიზება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ

5 საგამოძიებო სამსახურმა „ფორმულას“ ჟურნალისტის მიმართ ძალადობის ფაქტზე რუსეთის მოქალაქე ამხილა

5 სასკოლო ავტობუსის ხანდაზმული მძღოლი პედოფილი აღმოჩნდა

6 პენსიონერის უკანალიდან საარტილერიო ჭურვი გამოიღეს

1993230720223

„მიშა-ბიძინათი, „ოცნების“ და ნაცების გაუშვი-დაიჭირეთი ჩხუბით ევროპულ პერსპექტივას ვკარგავთ“

იაგო ხვიჩია: „ნაცმოძრაობამ უნდა დაიწყოს სიმართლის ლაპარაკი. სადაც ბოდიშია მოსახდელი, იქ ბოდიში უნდა მოიხადონ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– ბატონო იაგო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? სახალხო დამცველის არჩევის საკითხი იყო აქტუალური პარლამენტში, რა ხდება, რაზე შეთანხმდით? ოპოზიცია ბრალს სდებს ხელისუფლებას, რომ საკუთარი კანდიდატის გაყვანას ცდილობს „ოცნებაო“. რა ხდება?

– სიტუაცია არის ასეთი, რომ ვერ მოხერხდა კონსენსუსი პოლიტიკურ პარტიებს შორის ვერც ერთ კანდიდატზე და „ქართულმა ოცნებამ“ თქვა, რომ მას აქვს რესურსი, ნაციონალური მოძრაობიდან გადმოიბიროს ხალხი და მხარი დააჭერინოს თავის კანდიდატზე. ყოველ შემთხვევაში, ეს პროცესი მიმდინარეობს ახლა, ასე დაიშალნენ.

– არის შანსი, რომ შეირჩეს ღირსეული კანდიდატი?

– მე მგონი, აღარც ეძებენ უკვე შერჩევის თვალსაზრისით. ახლა მიდის მცდელობა, მოახერხებენ თუ არა გადმოიბირონ ოპოზიციიდან ხალხი და მხარი დააჭერინონ მათთვის მისაღებ კანდიდატზე. ეს პროცესია ახლა და ახლის შერჩევის რესურსი, მე მგონი, აღარ არის. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ოცნება“ ფიქრობს, მას თავისუფლად შეუძლია გადმოიბიროს ხალხი ოპოზიციიდან, ამიტომ ზედმეტად არ ირჯება. დასჭირდება და გადმოიბირებს ხალხს ნაცმოძრაობიდან.

– არის უკვე გამოკვეთილი „ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატი?

– ასეთი კანდიდატი „ოცნებას“ მოლაპარაკების პირველივე რაუნდიდან ჰყავდა. თუმცა, მერე სხვა კანდიდატებიც გამოერია. თავიდან „ოცნება“ აცხადებდა, რომ არც ერთი კანდიდატი არ ეყოლებოდა და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ საკუთარ კანდიდატებს სთავაზობს ოპოზიციას, რის გამოც, საბოლოო ჯამში, კონსენსუსის შესაძლებლობა ვერ დგება.

– გვეყოლება ამ წლის ბოლომდე ახალი სახალხო დამცველი თუ გადაიდება ეს საკითხი მომავალი წლისთვის?

– არ ვიცი. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მოახერხებს „ქართული ოცნება“ ხალხის გადმობირებას ოპოზიციიდან. თუ ვერ მოახერხა, მაშინ გადავა, თუ მოახერხა და გადმოიბირა ჩვენი კოლეგები, მაშინ გვეყოლება ახალი სახალხო დამცველი.

– რამდენი ხმა აკლდება „ოცნებას“?

– მათ ამისთვის სამი ხმა აკლდება და სამი ხმის მოპოვება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი არ არის, უბრალოდ, საინტერესოა, რომელი ჩვენი სამი კოლეგა იქნება ის სამი ადამიანი.

– წლის მიწურულია, როგორ აფასებთ ხელისუფლების პოლიტიკას. „გორბის“ კვლევები დაიდო, რომელიც „ოცნებამ“ შეუკვეთა და ყელმოღერებულები საუბრობენ, ასეთი მაღალი რეიტინგი არასაარჩევნო პერიოდში ძალიან ბევრის მთქმელიაო. რამდენად სერიოზულად უყურებთ ამ კვლევებს და მართლაც აქვს თუ არა „ოცნებას“ დღეს ასეთი მხარდაჭერა?

– „ოცნებამ“ თავისთვის დაუკვეთა კვლევა და ციფრებიც თვითონ ჩაწერა. მე იმდენად ვენდობი „ქართული ოცნების“ კვლევას, რამდენადაც „ქართული ოცნების“ დაპირებებს. შესაბამისად, ეს ერთი და იგივეა თავისი შინაარსით. ორივეს „ქართული ოცნება“ აწერს ხელს. რამდენადაც „ქართული ოცნების“ დაპირებაა დამაჯერებელი, იმდენად შეიძლება იყოს დამაჯერებელი კვლევაც. რომ გითხრათ, ეს პროცენტები ზუსტია-თქო, ალბათ თქვენც არ დამიჯერებდით.

– ოპოზიციის პროცენტებიც ვნახეთ და კვლავაც მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას მოიაზრებს მის საპირწონე ოპოზიციურ ძალად, მთავარ ოპოზიციად.

– ამ კვლევის მიზანიც ხომ სწორედ ეს არის, ეს სტერეოტიპი ისევ გაამყაროს, რომ მარტო „ქოცები“ და ნაცები არიან და ბრძოლა მხოლოდ მათ შორის მიმდინარეობს. ცდილობენ, ისევ ის თამაში გათამაშდეს, რომ ჩვენ თუ არა, ნაცები მოვლენ. ეს არის „ქოცების“ მიზანი და რა გამოვა აქედან, ვნახოთ.

– იმის მიუხედავად, თუ რა სიტუაციაშია დღეს ნაციონალური მოძრაობა? ვხედავთ, რაც სჭირთ, ლამისაა დაიშალოს პარტია. კიდევ რჩება იმის შანსი, რომ მან „ბუას“ როლი შეასრულოს არჩევნებზე?

– ყოველ შემთხვევაში, ამას ეცდება „ქართული ოცნება“, რომ ეს გაათამაშოს. არაფერი არ შეუშლის ხელს, თუ მიხეილ სააკაშვილი გონს არ მოვა და რამეს არ შეცვლის ნაცების სამოქმედო სტრატეგიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ისევ იქნებიან გამოყენებულნი საფრთხობელას როლში.

– თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილმა უნდა შეცვალოს ნაცმოძრაობაში სიტუაცია? რომელიც პატიმარია და ვისმენთ განცხადებებს, რომ მოწამლულია, მძიმე ავადმყოფია და დღე-დღეზე შესაძლოა მძიმე შედეგი დადგეს. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მიშას, შეუძლია, რამე შეცვალოს ნაციონალებში?

– პირველ რიგში, მე მგონი, საკუთარ თავში უნდა შეცვალოს და მერე ყველგან შეუძლია შეცვალოს. ჩემი აზრით, მან უნდა წარმოიდგინოს, რა არის მისი ბრძოლის სტრატეგია. მე ვკვდები, ავადა ვარ, გამომიშვი ციხიდან და მერე კიდევ ვაპირებ პოლიტიკური ცხოვრება გავაგრძელო ჩვეულებრივად და არაფერი არ შეიცვალოს, ასე, ჩემი აზრით, ვერავინ ვერ გამოუშვებს სააკაშვილს და არც უნდა გამოუშვან! რომც გამოუშვან, მე ვიქნები წინააღმდეგი!

– რატომ იქნებით წინააღმდეგი?

– მიხეილ სააკაშვილმა ან უნდა გაიაზროს, რომ ბრძოლა უნდა, უნდა იგივეს გაგრძელება, რაც იყო და ჩაჯდეს ღირსეულად ციხეში. თქვას, რომ საავადმყოფოში კი არა, საკანში გადამიყვანეთ და იქიდან გააგრძელოს პოლიტიკური ბრძოლა. ეს ერთი ვარიანტია და მეორე ვარიანტია, მოინანიოს ის დანაშაული, რაც ქართველი ხალხის წინაშე აქვს მას ჩადენილი და წავიდეს პოლიტიკიდან! ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთია ასარჩევი. ჩემი აზრით, დროზე უნდა გაკეთდეს ეს არჩევანი. იმიტომ, რომ მანამდე, შუაში დრამების მოწყობა, რომ ცუდად ვარ და ეს მჭირს და ის მჭირს და თან ისე, რომ ამას არანაირი კონკრეტული შედეგი არ მოყვება, ეს კიდევ უფრო მეტად აზიანებს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების კამპანიას. ახლა გადასაწყვეტია: მიხეილ სააკაშვილი იბრძვის? პოლიტიკაში რჩება? მაშინ ის უნდა იჯდეს ციხეში! საავადმყოფოში კი არა, ციხეში უნდა გადავიდეს! იქ უნდა იბარებდეს ხალხს და იქიდან გეგმავდეს სტრატეგიებს. ან თუ არ იბრძვის, არ უნდა ციხეში ჯდომა? მაშინ უნდა დაამთავროს პოლიტიკური მოღვაწეობა და მოინანიოს თავისი საქმეები, დაემშვიდობოს პოლიტიკას და ითხოვოს პატიება. ამის შემდეგ ითხოვოს გათავისუფლება. აი ასეთი გზებია საჭირო. მანამდე ეს ყველაფერი თავის მოტყუებაა.

– დრამებს დგამსო და ფიქრობთ, დრამის დადგმას ჰგავს ეს ყველაფერი?

– მისი სახელით იდგმებოდა სულ დრამები ტელევიზიებში. გასული წლის ამ დღიდან მოყოლებული, ჩვენ გვახსოვს, მიშა როგორ კვდება, როგორ მიდის შიმშილობა, როგორ ვეღარ ცნობს ხალხს და რაღაც სისულელეები ათასნაირი! ეს სისულელეები ათასნაირად იზრდება, სხვადასხვანაირ ფორმას ღებულობს და ვართ ასე. აქედან აუცილებლად უნდა გამოვიდეთ. მე მგონია, რომ ნაცმოძრაობამ უნდა დაიწყოს სიმართლის ლაპარაკი. რაც არ უნდა მტკივნეული იყოს ეს სიმართლე. ამის გააზრებაა საჭირო, სადაც ბოდიშია მოსახდელი, იქ ბოდიში უნდა მოიხადონ. თუ თავად არ გაიაზრეს, ჩაივლის ეს ახალი წლებიც და არაფერი არ მოხდება განსაკუთრებული. მე ერთ-ერთი, რაც მნიშვნელოვანი მგონია ამ ყველაფერში, არის ზელენსკის მომართვა და თხოვნა.

– ამასაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ხელისუფლება გააღიზიანა. თქვენ რას ფიქრობთ?

– მე მგონია, რომ აქეთ ნაბიჯების გადადგმაც არის მიხეილ სააკაშვილის კომპეტენცია. იგივე არ უნდა გაგრძელდეს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების შემთხვევაში, რაც მის დაკავებამდე ხდებოდა. თუ ისევ იგივე უნდა გაგრძელდეს, მაშინ მიხეილ სააკაშვილი არ უნდა გამოუშვან. მაშინ არც სასჯელით ჰგონია თავისი მიზანი მიღწეული, ან საერთოდ რატომ დაიჭირეს, თუ რაღაცა თამაშის ნაწილი არ იყო. ეს ხომ ლოგიკურია?! „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის თვალით ამას რომ შეხედო, ეს ლოგიკურია. „ქართულ ოცნებას“ უნდა ჰქონდეს ადეკვატური შეთავაზება. სანამ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ და მიდის ერთმანეთთან ჩხუბი მიშა-ბიძინათი, გაუშვი-დაიჭირეთი, ამასობაში ჩვენს ევროპულ პერსპექტივას ვანადგურებთ. ამ წუთას მე ეს მაწუხებს, თორემ, მიშა იჯდება თუ არა ციხეში, ამაზე ჩემზე მეტად სხვამ უნდა ინერვიულოს.

– ევროპული პერსპექტივა ახსენეთ და რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? „ქართული ოცნება“ არ ასრულებს 12-პუნქტიან გეგმას, პირიქით, ვისმენთ გზავნილებს, რომ თუკი ულტიმატუმი უნდა წამოგვიყენონ, დამნაშავეების გათავისუფლება უნდა მოგვთხოვონ, ასეთი კანდიდატის სტატუსი არაფერში გვჭირდებაო. თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?

– ეს უბრალოდ არასერიოზული განცხადებებია. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გადაწყვეტილება იქ არ მიიღება, სადაც ასეთი საუბრებია, სულ სხვაგან მიიღება. ვინაიდან ეს გადაწყვეტილება ჯერ არავინ არ იცის, ხალხის გულის გადასაყოლებლად, სხვადასხვანაირ წინააღმდეგობრივ პოზიციებს აფიქსირებენ. ეს იმიტომ, რომ სინამდვილეში თვითონ არ იციან საკუთარი პარტიის პოზიცია.

– რა მოლოდინი გაქვთ ჩვენს ევროპულ მომავალთან დაკავშირებით?

– ჩვენ ახლა არ გვინდა ევროპაში შესვლა. არაფერი არ გვეტყობა, ევროპაში შესვლა რომ გვინდოდეს. ეს არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის ქმედებებში არ ჩანს, მცირე გამონაკლისის გარდა. ახლა გამოდიან და ერთმანეთს აბრალებენ, ვის დაბრალდეს ევროინტეგრაციის ჩაშლა. ასე არაფერი გამოვა. რასაკვირველია, მთავარი პასუხისმგებელი პირი ამ ჩავარდნაზე არის „ქართული ოცნება“, იმიტომ, რომ სწორედ მან შექმნა ასეთი ტოქსიკური გარემო! სადაც მიშასა და ნაცებზე საუბრის გარდა, სხვა თემა არ არის.

– მთელი პოლიტიკური სივრცე მიშას თემითაა გადაფარული, რატომ, უფრო მნიშვნელოვანს ფარავენ?

– იმიტომ, რომ მარტო ეს იციან! როგორც კი ეს არ იქნება, არ იციან, რაზე ილაპარაკონ. მართლაც მნიშვნელოვან თემებზე სალაპარაკოდ ქართული პოლიტიკური სპექტრის ძალიან მცირე ნაწილია მზად.

30 ყალბი ანგარიში და 12 ყალბი ფეისბუქმომხმარებელი — ტროლების მობილიზება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ

30 ყალბი ანგარიში და 12 ყალბი ფეისბუქმომხმარებელი – „ოცნებამ“ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ტროლების ახალი მანქანა აამუშავა. „მითების დეტექტორმა“ დაადგინა, რომ მმართველი პარტიის მხარდამჭერები, სხვისი მონაცემებითა და ფოტოებით, სოციალურ ქსელებში ლანძღავენ მესამე



პრეზიდენტს და წერენ, რომ ის სიმულიანტობს და იმსახურებს იმ მდგომარეობაში ყოფნას, როგორშიც იმყოფება.

30 ყალბი ანგარიშიდან 25 სხვადასხვა სოციალური ქსელის მომხმარებლების იდენტობას იპარავს, 5 კი იდენტობას მალავს;

30-დან 19 ანგარიშს მოწონებული აქვს „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული ფეისბუკ-გვერდები, მათგან შვიდი პირად პროფილზე აზიარებს პოსტებს ირაკლი ღარიბაშვილისა და საქართველოს მთავრობის ფეისბუკ გვერდებიდან;

30-დან 10 ანგარიშს მოწონებული აქვს ოპონენტების მადისკრედიტირებელი ფეისბუკ-გვერდები;

30-დან 15 ანგარიშს სხვა ტროლები ჰყავს მეგობრებში;

14 ყალბი ანგარიში დისკრედიტაციის კამპანიებში ადრეც იყო ჩართული;

12 ყალბი ანგარიში კომენტარებს სხვადასხვა პოსტზე ტოვებდა.

ფეისბუკ გვერდები:

12 ფეისბუკ-გვერდიდან (პოლიტიკური აბსურდი, პოლიტიკური სამარე №5, ტერენტი გლდანელი, სირცხვილის კორიდორი, მოგიტყანთ მოქალაქეთა კავშირი, არ აგარევინებთ, ქართული ჟურნალისტიკის მარგალიტები / ჯოურნალისტ ფაილს, რეალობა, სიკვდილის პარტია, მიხეილ უკრაინოლოგი, შჰალვა ნათელაშვილის სახელობის ფსიქიატრიული კლინიკა) 12-ვე ანტიოპოზიციური შინაარსის პოსტებს ავრცელებს და „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს;

1 ფეისბუკ გვერდი (სიკვდილის პარტია) ახალშექმნილია;

4 ფეისბუკ გვერდზე იდენტური ქარდი ერთსა და იმავე დროს გავრცელდა;

ორი ფეისბუკ გვერდის (პოლიტიკური აბსურდი, არ აგარევინებთ) მიერ გავრცელებული პოსტები დასპონსორებულია.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სათავისოდ იყენებს სააკაშვილის საკითხს“

დავით ჭიჭინაძე: „ხელების გადაგრეხვამდეა ყველაფერი დასული. პოლიტიკური დაპირისპირება წარმოუდგენელია ადამიანის სიცოცხლეზე, ზოგადად, ჰუმანიტარულ საკითხზე გადიოდეს“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, რა მოლოდინი გაქვთ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით? პოლიტოლოგები ამბობენ, რომ რაღაც დონის გადაწყვეტილება ხელისუფლებამ უნდა მიიღოს.

– ვფიქრობ, ამ საქმის პოლიტიზირება ყველაზე მეტად ხელისუფლებას აწყობს. აწყობს სრულიად პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე. დღეს ქვეყანაში ყველა პრობლემა და, საერთოდ, ყველა საკითხი დავიწყებული არის, რადგან ქვეყანაში წამყვანი თემა სააკაშვილის ჯანმრთელობაა.

თუ არ მოხდებოდა ამ საკითხის ამ დონეზე პოლიტიზირება ორივე მხრიდან, ცხადია, ოპოზიციასაც ვგულისხმობ, ბევრად უფრო მეტი შანსი იქნებოდა, საკითხი ჰუმანიტარული მიდგომებით გადაწყვეტილიყო, მაგრამ ნაციონალურმა მოძრაობამაც კი, შიდა პარტიული არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია მიხეილ სააკაშვილის თემაზე ააგო. ამიტომ სრულიად მოსალოდნელი იყო ის, რაც ხდება.

– რა მოლოდინი გაქვთ, როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ?

– არ მგონია, ასე მარტივად დათმოს „ქართულმა ოცნებამ“. მაშინ არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა, მთელი დანარჩენი ოპოზიციური სპექტრი თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს. ამას კი „ოცნება“ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს.

– და თუ ცუდად არის?

– იმ გავრცელებულ კადრებში რაც დავინახე, მე ექიმი არ ვარ, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ადამიანი ცუდად არის. საკუთარი ფეხით ვერ გადაადგილდება და ამისთვის მას დამხმარე ინსტრუმენტი სჭირდება. ასევე ჩნდება ლოგიკური კითხვა, როდესაც ხელისუფლება გვეუბნება „სიაფანტობსო“ თუ „სიაფანდობს“ და კარგად არის, მაშინ საავადმყოფოში რატომ ჰყავთ და ციხის საკანში რატომ არ გადაჰყავთ?! ამაზე რა პასუხი აქვთ. ჩანს, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სათავისოდ იყენებს სააკაშვილის საკითხს. ორივე მხარე თავის დღის წესრიგზე მუშაობს და არავის ადარდებს ქვეყნის ინტერესები. ხელების გადაგრეხვამდეა ყველაფერი დასული. ეს არ არის პოლიტიკა. პოლიტიკური დაპირისპირება წარმოუდგენელია ადამიანის სიცოცხლეზე, ზოგადად ჰუმანიტარულ საკითხზე გადიოდეს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ორივე მხარეს აწყობს სააკაშვილის საკითხით მანიპულირება.

– რატომ?

– არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არაფერი არა აქვთ ხალხისთვის სათქმელი. ამიტომ, სააკაშვილის საკითხით ეს ყველაფერი კარგად იფუთება. სანამ შეძლებენ, დღის წესრიგიდან არ ჩამოხსნიან ამ თემას. ოპოზიციას არ გააჩნია თავისი დღის წესრიგი.

– ვაშაძე ამბობს, რომ ერთიანი ფრონტის დროა. შეძლებს გაერთიანებას ოპოზიცია?

– ოპოზიცია როდესაც მართლა ერთიანი იყო და მართლა შეიძლებოდა რაღაცის მიღწევა, მაშინ ვაშაძემ სხვა გზა არჩია. მაშინ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა გამარჯვებად გამოაცხადეს და პარლამენტში შევიდნენ. ეს იყო გამარჯვება?! ახლა როგორ აპირებენ ერთიანი ფრონტის შექმნას, როდესაც თვითონ პარლამენტში არიან, ქუჩაში ვინ უნდა გავიდეს?! ვის მოუწოდებენ. პარლამენტიდან რა პერსპექტივას დაანახებენ ხალხს. მშიერ, უხელფასო ხალხს რა ბრძოლისკენ უნდა მოუწოდონ პარლამენტიდან. ინფლაციის იმხელა მაჩვენებელია, იმხელა ეკონომიკური პრობლემებია ქვეყანაში, რომ ამის მოგვარება „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია. სულ ტყუილია ეკონომიკურ გარღვევაზე საუბარი. ერთი და ორი ადამიანი რომ გამდიდრდა, ეს არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური გარღვევა გვაქვს.

– რაზე უნდა იყოს ოპოზიციის მთავარი აქცენტი?

– არჩევნებში ემიგრანტების ჩართვაზე დისტანციურად. თუ ემიგრანტებზე დგას ეს ქვეყანა და ნამდვილად ასეა, მაშინ ამ ხალხს არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება უნდა მივცეთ დისტანციურად.

– თქვენ თქვით, რომ ოპოზიციას ხალხისთვის არანაირი შეთავაზება არა აქვს.

– რომელი პროექტი შესთავაზა ან პრობლემის მოგვარების რომელი ხედვა და გზა?! ასეთი არაფერი მომხდარა.

– რა უნდა შესთავაზოს?

– ეკონომიკური სიდუხჭირის გადაჭრის პროექტები. კონკრეტული ხედვა და გეგმა. რა, როგორ იქნება. განცხადებები განცხადებებისთვის არავის არაფერში სჭირდება. ხალხისთვის ამ ოპოზიციას არანაირი შეთავაზება არ აქვს. ასევე ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებასაც“ ყველანაირი რესურსი ამოწურული აქვს. ხელისუფლების განცხადებების, რომ ქვეყანაში ეკონომიკური გარღვევა გვაქვს და ყველაფერი კარგად არის, არავის არ სჯერა. ამიტომ გვაქვს ის რეალობა, რომელიც გვაქვს. ხალხი სხვაგან არის, ხელისუფლება და ოპოზიცია კიდევ სხვაგან.

გიორგი სააკაშვილი: „მიშა არის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ძმა გიორგი სააკაშვილი იმედოვნებს, რომ დღეს, 22 დეკემბერს სასამართლო მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას მიიღებს და მასში „ქართული ოცნება“ არ ჩაერევა. ამის შესახებ გიორგი სააკაშვილმა ისაუბრა.

გიორგი სააკაშვილმა ძმას დაბადების დღე მიულოცა და გამძლეობა უსურვა.

ექსპრეზიდენტის ძმა დარწმუნებულია, რომ „ჯოჯოხეთი ძალიან მალე დასრულდება მიშასთვის“ და აცხადებს, რომ პირველ რიგში, სურს, რომ ჯანმრთელს ხედავდეს.

– ადამიანი არის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ან ვწირავთ ადამიანს ბოლომდე, სიკვდილს ვუწესებთ, ან ვაძლევთ უფლებას იცოცხლოს, დანარჩენი მმართველ პარტიაზეა დამოკიდებული. ხვალ მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და იმედს ვიქონიებ, რომ ეს იქნება დამოუკიდებელი. მაინც მჯერა, მინდა მჯეროდეს, რომ უნდა შევდგეთ ქვეყნად, სადაც ყველა აკეთებს საკუთარ საქმეს და მმართველი პარტია არ ჩაერევა ამ გადაწყვეტილებაში, – აღნიშნა ექსპრეზიდენტის ძმამ.

დღეს ჩანიშნული სასამართლოო პროცესის მოლოდინების გარდა, ყოფილი პრეზიდენტის ძმამ ისაუბრა მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებების თაობაზეც, თითქოს სააკაშვილის გამოგზავნა საქართველოში „იყო სპეცოპერაცია“ და განაცხადა, რომ „სასაცილო მოსასმენი“ იყო.

მისი თქმით, უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის მოწოდება საქართველოს ხელისუფლებისადმი მხარდაჭერას და საკუთარ მოქალაქეზე ზრუნვას გამოხატავდა.

გიორგი სააკაშვილის განცხადებით, ხელისუფლების განცხადებები „პროპაგანდის ნაწილია“.

– ყველა სახელმწიფო, ყველა სახელმწიფო ლიდერი ზრუნავს თავის მოქალაქეზე, საქართველოს მთავრობისგან განსხვავებით. თურმე, ჩვენ მოვისმინეთ განცხადებები, რომ ეს არის სპეცოპერაცია და დადასტურდა, რომ მიშა სააკაშვილი წინასწარ გამოგზავნეს. კითხვას დავსვამ: მიშა სააკაშვილი ჩამოვიდა ოქტომბერში, ომი დაიწყო თებერვალში, კონტექსტში არ ჯდება არანაირად. უბრალოდ პროპაგანდის ნაწილია, რომელიც მოსახლეობას არწმუნებს, რომ თურმე მიშა სააკაშვილი მისიით ჩამოვიდა. ჯერ თითქოს სახელმწიფო გადატრიალება უნდოდა, გუშინ ვიგებთ, რომ ომში ჩართვა უნდოდა, მმართველი პარტია გაერკვიოს თავის განცხადებებში, შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება. უბრალოდ სირცხვილია, როგორ მდგომარეობაში იმყოფება მიშა სააკაშვილი. მე მაინც ვფიქრობ, რომ არ არის დრო პოლარიზაციის, უნდა მოხდეს დეპოლარიზაცია და უნდა მიეცეს მიშა სააკაშვილს თავისუფალი ცხოვრების უფლება, ვგულისხმობ, რომ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვს. ნებისმიერი სახელმწიფო თავის

მოქალაქეზე ზრუნავს, პრეზიდენტებს ყველა ქვეყანაში უნდა აფასებდნენ შესაბამის დონეზე. არ მინდა დეტალურად ჩაძიება, რა როლი მიუძღვის და რა ქვეყანა რა ქვეყანას დაამსგავსა, რომ მართლა მნიშვნელოვანი ძვრები იყო, მესმის, რომ ზოგი განაწყენებულია, – განაცხადა მან და დასძინა, რომ ერთადერთი გამოსავალია მიხეილ სააკაშვილს საზღვარგარეთ მკურნალობის უფლება მიეცეს.

– მოეგოს მმართველი პარტია გონს და მისცეს ადამიანს სიცოცხლის უფლება, – განაცხადა გიორგი სააკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, უკრაინაში საქართველოდან 25 ერთეული მაღალი სიმძლავრის გენერატორი გაიგზავნა

საქართველოს მთავრობა აგრძელებს უკრაინელი ხალხის აქტიურ მხარდაჭერას. დღეს საქართველოდან უკრაინაში გაიგზავნა 25 ერთეული მაღალი სიმძლავრის გენერატორი, რომელიც პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ შეიძინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

უწყება აღნიშნავს, რომ ეს არის 1,5 მლნ ლარის საერთო ღირებულების სამრეწველო დანიშნულების გენერატორები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია საგანგებო რეჟიმში იმუშაოს საავადმყოფოებმა, კვების ობიექტებმა და სხვა კრიტიკული დანიშნულების ობიექტებმა.

გენერატორების დატვირთვის პროცესს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე და უკრაინის საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ანდრეი კასიანოვი დაესწრნენ, რომელმაც საქართველოს მთავრობას, პირადად პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის.

– სიხარულით აღვნიშნავ, რომ საქართველოს მთავრობამ უკრაინისთვის შეიძინა 25 მაღალი სიმძლავრის გენერატორი, რომლებიც გამოყენებული იქნება სამრეწველო მიზნებისთვის – კლინიკებისთვის, საავადმყოფოებისთვის, კვების ობიექტებისთვის და უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებისთვის.

ვისარგებლებ შემთხვევით და მსურს გამოვხატო ჩემი პირადი მადლიერება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილების გამო უკრაინისთვის მაღალი სიმძლავრის გენერატორების შეძენისა და გადაცემის შესახებ. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობის ყველა წევრს ამ გადაწყვეტილების სწრაფად განხორციელებისთვის, რადგან 25-ვე ელექტროგენერატორი უკრაინაში დღესვე გაიგზავნება. მადლობა ყველა ქართველს უკრაინის ძალიან ძლიერი და არსებითი მხარდაჭერისთვის ჩემი ქვეყნისთვის და ჩემი ხალხისთვის ამ ძალიან კრიტიკულ პერიოდში, – განაცხადა უკრაინის საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა.

თავის მხრივ, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა, ქართველი ხალხი უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღიდან არ იშურებს ძალისხმევას, რომ მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება გაუწიოს უკრაინელ ხალხს.

მან იმედი გამოთქვა, რომ დღეს გაგზავნილი მაღალი სიმძლავრის გენერატორების პარტია უკრაინაში, მცირედით მაინც შეუმსუბუქებს უკრაინელ ხალხს არსებულ პრობლემებს.

ვოლოდიმირ ზელენსკი ვაშინგტონში ჩავიდა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ვაშინგტონში ჩავიდა. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. ამ დროისთვის ოფიციალური ცნობები ჯერ არ გავრცელებულა.

ომის დაწყების შემდეგ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ზელენსკიმ ქვეყანა დატოვა.

ვაშინგტონში ზელენსკი ამერიკის პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს თბილისის დროით 23:30-ზე შეხვდება. CNN-ის ინფორმაციით, ბაიდენი ზელენსკის ვიზიტისას $1,8 მილიარდი ღირებულების ახალი დახმარების პაკეტს გამოაცხადებს, მედიის ცნობით დახმარების პაკეტში Patriot-ის სისტემაც შევა. CNN რამდენიმე კვირის წინ წერდა, რომ აშშ უკვე ასრულებდა მუშაობას უკრაინაში ამ სისტემის გაგზავნის გეგმაზე.

ბაიდენთან შეხვედრის შემდეგ ზელენსკი კონგრესში სიტყვით გამოვა.

ბელარუსის ჯარი პუტინ-ლუკაშენკოს უმხედრდება?

მარიამ მჭედლიშვილი

ბრიტანელი დიპლომატი სანქციებს ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგაც მოითხოვს

ვინაიდან რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონის – აფხაზეთის ადმინისტრაცია რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში შესვლისკენ მიისწრაფვის, სოხუმში კი თბილისთან შეუთანხმებლად ჩასვლას აღარ ერიდება ბელარუსის ლიდერი (მსოფლიოში არალეგიტიმურად მიჩნეული პრეზიდენტი) ლუკაშენკო, საქართველოსთვის საყურადღებოა რუსეთსა და ბელარუსში უკრაინაში გაჩაღებული ომის ფონზე მიმდინარე მოვლენები. პუტინისა და ლუკაშენკოს რეჟიმების მორყევა, სხვა სიკეთესთან ერთად, საქართველოს დეოკუპაციის მომასწავებელიც იქნება.

რუსეთი ბელარუსის ტერიტორიას იყენებს უკრაინაზე თავდასხმებისთვის, ბელარუსის ჯარი კი ომში არ მონაწილეობს. ლუკაშენკოს მოწინააღმდეგეებისგან შემდგარი ბელარუსული პოლკი ომში უკრაინელების მხარეს იბრძვის. ბელარუსის ჯარის ომში ჩათრევის საფრთხეზე საუბარი უფრო გააქტიურდა. ითვლება, რომ ამაზე მინსკში ჩასულმა (შოიგუსთან და ლავროვთან ერთად) პუტინმა ლუკაშენკოსთან ერთად კულუარებში ისაუბრა. ამ და სხვა საკითხებზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა დიდი ბრიტანეთის ყოფილი ელჩი ბელარუსში როზმარი ტომასი.

– მოსალოდნელია თუ არა, რომ ლუკაშენკომ გასცეს ბელარუსის ჯარის უკრაინაში შეჭრის ბრძანება?

– უკრაინაში ბელარუსის შეჭრის მცდელობას დიდი დანაკარგი მოჰყვება. ეს სცენარი ნაკლებად სავარაუდო მგონია. მთელი რიგი მიზეზების გამო, ეს მცდელობა სარისკოა. ჯერ ერთი, აქ რთული და დაცული ადგილებია. გაურკვეველია, არის თუ არა ბელარუსის შეიარაღებულ ძალებში კვალიფიციური, ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფების საკმარისი რაოდენობა საბრძოლო მოქმედებისათვის. სავარაუდოდ, არსებობს კითხვები ტექნიკის თაობაზეც.

ამას აქვს ასევე პოლიტიკური მხარე. ასეთი სარისკო ავანტიურა საფრთხეს შეუქმნიდა ამ უკანონო რეჟიმს. გარედან ის ძლიერად გამოიყურება, შიგნით კი არასტაბილურია.

ბელარუსების უდიდესი უმრავლესობა ომის წინააღმდეგია და თუ ლუკაშენკო ჩაებმება სახმელეთო სამხედრო ოპერაციაში უკრაინაში, ის უზარმაზარ რისკზე წავა. არ უნდა გამოირიცხოს გარკვეული დემონსტრაციები. არსებული ინფორმაციით, ბელარუსის შეიარაღებულ ძალებში დიდი უკმაყოფილება შეინიშნება. დაბოლოს, რას იზამდა, უკრაინას რომ საპასუხო დარტყმა განეხორციელებინა? ჩვენ უკვე გვაქვს საქმე საკმაოდ არასტაბილურ სიტუაციასთან. უკრაინა დღემდე ახდენს გამორჩეული მოთმინების დემონსტრირებას და არ რეაგირებს ბელარუსიდან გაშვებულ რაკეტებზე. თუ უკრაინის მოთმინება აივსება და ის გადაწყვეტს საპასუხო დარტყმის მიყენებას, ეს ბელარუსში ძალიან ცუდად აღიქმება და ლუკაშენკოს გაუჩნდება ნამდვილი პრობლემები. ალბათ, პუტინმა და ლუკაშენკომ იმსჯელეს პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მაშინ, თუ ბელარუსის ჯარს ძალით გაგზავნიან უკრაინაში.

– როგორ უყურებთ იმის შესაძლებლობას, რომ ბელარუსის ჯარმა იარაღი რეჟიმის (ლუკაშენკოს) წინააღმდეგ შეატრიალოს?

– ასეთი სცენარის გამორიცხვა არ შეიძლება. გავიმეორებ – იყო მონაცემები იმის თაობაზე, რომ ბელარუსის ჯარში არსებობს უკმაყოფილება მოვლენების განვითარებით.

– ევროკავშირის სანქციების მეცხრე პაკეტი რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში აგრესიისათვის ეხება რუსეთს და არ მოიცავს ბელარუსს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ დასავლეთი უფრო მკაცრი უნდა იყოს თანააგრესორის მიმართ?

– ვისურვებდი, რომ ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი უფრო მკაცრი ყოფილიყვნენ ბელარუსის მიმართ შემდგომი სანქციების შემოღებისას. ლუკაშენკო საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს პუტინის აგრესიის კამპანიას. ქვეყნის შიგნითაც ბევრი დანაშაული ხდება.

თუ ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი ვერ შეძლებენ სანქციების გამკაცრებას, მაშინ ხვრელების ამოვსებას მაინც უნდა ეცადონ. მათ შეუძლიათ მეორადი სანქციების განხილვა.

– რატომ გამოიჩინა დასავლეთმა სისუსტე ლუკაშენკოს რეჟიმის მხეცობებზე 2020 წლის შემდეგაც კი?

– ჩემი აზრით, ბელარუსი საკმაოდ დიდი დონის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. მიზეზი შემიძლია ვივარაუდო. თავისთავად სანქციები ვერ გახდება ჯადოსნური ინსტრუმენტი. სანქციები მენიუს ნაწილია. ჩვენ ვიყავით სიტუაციაში, როცა არსებობდა სანახევრო სანქციები. სანქციების სრული არარსებობა ძალიან ცუდი სიგნალია.

ნიკა მელია: „არ უნდა დავუშვათ, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მოკლან“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია საგანგებო ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილის 22 დეკემბერს ჩანიშნულ სასამართლო პროცესს ეხმაურება.

მისი თქმით, „დრო არ ითმენს, პროცესმა მიიღო იმგვარი სახე და ისე გაიწელა, რომ საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ ნეგატიური გადაწყვეტილება, არამედ დადებითიც – თუ იგი დროულად არ იქნა გამოტანილი. არადა თავისუფლად არის შესაძლებელი პროცესის წლის ბოლომდე დასრულება.

– 22 დეკემბერს, 11 საათზე, მიხეილ სააკაშვილის მორიგი სასამართლო პროცესი იმართება.

სასამართლო იმას კი არ წყვეტს, ვინ მტყუანია და ვინ მართალი, არამედ იმას, უნდა იცოცხლოს საქართველოს მესამე პრეზიდენტმა თუ არა, სასამართლო ხვალ გადაწყვეტს, აქვს თუ არა ქვეყნის მესამე პრეზიდენტს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, თუ ეს უფლებები ქვეყანაში საბოლოოდ გაუქმებულია.

მე არაერთხელ ვთქვი, რომ ვითვალისწინებთ დაცვის სტრატეგიას, რომ ველოდებით ვერდიქტს. ვამბობდი იმასაც, რომ ნეგატიური გადაწყვეტილების შემთხვევაში ვერაფერი დარჩება ძველებურად.

მაგრამ დრო არ ითმენს, პროცესმა მიიღო იმგვარი სახე და ისე გაიწელა, რომ საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ ნეგატიური გადაწყვეტილება, არამედ დადებითიც – თუ იგი დროულად არ იქნა გამოტანილი! არადა თავისუფლად არის შესაძლებელი პროცესის წლის ბოლომდე დასრულება!

ყველა ვხედავთ, როგორ ხდება პროცესის მიზანმიმართულად გაჭიანურება. გამომდინარე აქედან, ვითხოვთ გონივრულ ვადაში დასრულდეს პროცესი – მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობისა და მკურნალობის გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

შესაბამისად, ან ხვალ ყველა ერთად გავიგებთ, რომ პროცესი დასრულდება გონივრულ ვადაში ან ყველამ, ვისაც გვაქვს სახელმწიფოებრივი და ჰუმანური პოზიცია, უნდა დავიწყოთ მოქმედება და გავაკეთოთ ყველაფერი – რაც შეგვიძლია და რაც არ შეგვიძლია – შესაძლებლობების ზღვარზე და მის მიღმაც!

ყველას გვახსოვს 1993 წლის დეკემბერში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც გადაწყვიტა არა მხოლოდ ერთი ადამიანის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბედი, არამედ ქვეყნის შემდგომი უბედობა!

ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს არჩევანი, რომელიც შეიძლება სულ მალე აღარ გვქონდეს!

ჩვენ არ უნდა დავუშვათ არ გვქონდეს არჩევანი, არ უნდა დავუშვათ მოკლული იქნას საქართველოს მესამე პრეზიდენტი და მასთან ერთად ქართული სახელმწიფოს მომავალი, – განაცხადა მელიამ.

ბრძოლები უკრაინის სამხრეთში გრძელდება

ბრძოლები არ წყდება არც უკრაინის სამხრეთში. უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები ყირიმის რიგ ქალაქებზე. ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკარგებია. დაზიანებულია მტრის ენერგოსისტემა, ასე რომ, უშუქობით ტკბობა უკვე ყირიმელებსაც მოუხდათ.

ბრძოლები არც ხერსონსჩინაზე წყდება. რუსი ოკუპანტები ცდილობენ ქალაქს ქვემეხები დაუშინონ. ხერსონში აფეთქებათა სერიებია. დანგრეულია შენობები, დაღუპულია მშვიდობიანი მოსახლეობა. საპასუხო ცეცხლით განადგურებულ იქნა რუსული არტილერია.

დაძაბული ვითარებაა მელიტოპოლშიც. ქალაქში არ წყდება აფეთქებები, დივერსიები, საბოტაჟის აქციები. რუსი ოკუპანტების რეიდებს შედეგი არ მოაქვს. ოკუპანტების რიგებში დანაკარგები სერიოზულია.

უკრაინელებმა რუსეთის ტერიტორიას დაარტყეს

უკრაინის ტერიტორიის განუწყვეტელ დაბომბვას საკადრისი პასუხი მოჰყვა. უკრაინელებმა დაარტყეს რუსეთის ტერიტორიას.

უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმა სოფელ შებეკინოზე (ბელგოროდის ოლქი). აფეთქების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა შებეკინოს ენერგოსისტემა. განადგურებულია სოფელში მოთავსებული რუსი ჯარისკაცების ყაზარმა, მათ შორის, ფირმა ვაგნერის ბოევიკების ბაზაც.

რუსული მხარე ამტკიცებს, რომ უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები ბრიანსკის ოლქზეც. შედეგად დაინგრა სახლები. მწყობრიდან გამოვიდა ადგილობრივი ენერგოსისტემა.

„ძალიან მტკივნეულია ამის გაძლება...“ – ლიზა იასკო მიხეილ სააკაშვილს დაბადების დღეს ულოცავს

უკრაინის რადას დეპუტატი ლიზა იასკო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით პოსტს აქვეყნებს.

ლიზა იასკო საუბრობს იმ პროვოკაციებზე, რომელსაც მისი აზრით, შესაძლოა, ხვალინდელ სასამართლო პროცესამდე ჰქონდეს ადგილი.

– დღეს მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეა.

არ დავდებ ფოტოს და არაფერს, რადგან ძალიან მტკივნეულია ამის გაძლება, როგორც ყველა ვიდეო ან ფოტო, რომელიც ბოლო დროს იდება, რომელიც ამდაბლებს მაიკლს და მის ღირსებას.

განსაკუთრებულად არ უყვარს თავისი დაბადების დღეები. შესაბამისად, ნებისმიერი აღნიშვნა ამ დღეს უადგილოა.

დღეს შესაძლოა სხვადასხვა პროვოკაციები იყოს. იმიტომ, რომ სასამართლო ხვალაა და ბევრს სურს ისევ სხვადასხვა დეზინფორმაციის, ინტრიგების, სხვადასხვა ბოროტების გაქცევა, რომ მთავარიდან ყურადღება გადაიტანოს.

ნუ წამოეგებით მათ ნათქვამს, ვინც ამბობს, რომ „კარგად იქნება, რადგან ვიღაცამ რაღაც გადაწყვიტა.“

ეს ყველაფერი ხშირად კეთდება იმისთვის, რომ ხალხი გაუგებრობაში ამყოფონ.

ყველას გამძლეობას ვუსურვებ! ასევე კრიტიკული და ბრძნული აზროვნების უნარს!“ – წერს ლიზა იასკო.

22 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს, სადაც მოსამართლე გიორგი არევაძე სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადებას განიხილავს.

21 დეკემბერს საქართველოს მესამე პრეზიდენტი იუბილარი იყო. მას 55 წელი შეუსრულდა.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ომს განაგრძობს. შედეგად აგრესორის რიგებში დანაკარგები იზრდება. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 2.995, არტილერია – 1.960, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 212, თვითმფრინავები – 281, ვერტმფრენები – 266, ფრთოსანი რაკეტები – 653. განადგურებულია 99.730 ოკუპანტი.

პუტინი სპეციალური სამხედრო ოპერაციის ზონაში ჩავიდა?!

როგორც ცნობილია, უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ბახმუტში ჩავიდა. ამან კრემლი განარისხა. დიქტატორ პუტინის თანაშემწე პესკოვმა ზელენსკის ბახმუტში ჩასვლას შოუ უწოდა.

– პუტინი სპეციალური სამხედრო ოპერაციის ზონას ბევრად ადრე ეწვია, ვიდრე ზელენსკი ბახმუტში ჩავიდოდა, – თქვა პესკოვმა. რუსეთის დიქტატორის თანაშემწემ აღნიშნა, რომ ზელენსკი ბახმუტს მხოლოდ მას შემდეგ ეწვია, რაც სამხედრო მდგომარეობა გაუმჯობესდა და უკრაინის პრეზიდენტიც თავს უსაფრთხოდ გრძნობდა.

– როცა ჩვენი ჯარი ბახმუტის გარეუბნებში იდგა, ზელენსკი იქ ჩასვლას ვერ ბედავდა, – ამტკიცებს პესკოვი.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფი ბუდანოვი თავის მხრივ ამტკიცებს, რომ პუტინი საომარი მოქმედებების ზონაში არ ჩასულა.

– ბატონი პესკოვი ცრუობს, – აცხადებს ბუდანოვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კახა ბენდუქიძის საყვარელი პორტფელები და საძულველი ჰალსტუხი აუქციონზე გაიყიდება

25 დეკემბერს „ნინიას ბაღში“ საქველმოქმედო აუქციონი გაიმართება. აუქციონზე გასაყიდად კახა ბენდუქიძის პორტფელებსა და ჰალსტუხს გამოიტანენ. შემოსული თანხა უკრაინელებისთვის გენერატორების ყიდვას მოხმარდება. ინფორმაციას ამის შესახებ სოციალურ ქსელში თამარ ჩერგოლეიშვილი ავრცელებს და კახა ბენდუქიძის დას, ნუნუს მადლობას უხდის.

– 25 დეკემბრის აუქციონისთვის. კახა ბენდუქიძის საყვარელი პორტფელები, რომლებსაც სულ თან დაათრევდა, და საძულველი ჰალსტუხი!

აუქციონიდან შემოსული თანხით გენერატორებს ვიყიდით უკრაინელებისთვის! უდიდესი მადლობა დეიდა ნუნუს, – წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

35 წლის კაცი მამის მკვლელობას აღიარებს, ოჯახი კი უარყოფს

35 წლის კაცი მამის მკვლელობას აღიარებს. ოჯახი კი ამტკიცებს, რომ მოხუცი ინსულტით გარდაიცვალა.

„ინსულტი იყო კაცო, ახლა არაფერს არ ვფიქრობ, მამაჩემი მკვდარია, რას უნდა ვფიქრობდე. ძმა უკვე დაკავებულია."

მამის მკვლელობაში ბრალდებული სასამართლომ ციხეში გაუშვა.

ედიშერ ქარჩავა თავდაპირველად დანაშაულის დამალვას შეეცადა და ამბობდა, რომ მამამ გულის შეტევა მიიღო და კიბეებზე თავად დაგორდა.

თუმცა, მოგვიანებით, მან გამომძიებლებს დეტალურად უამბო დანაშაულის ჩადენის შესახებ და თქვა, რომ მამასთან სიმთვრალის გამო სულ ჰქონდა კონფლიქტი.

ადგილობრივები ამბობენ, რომ დაკავებული მამას ფიზიკურად სისტემატურად უსწორდებოდა და ამ დანაშაულისთვის მან სასჯელიც მოიხადა.

ყველა ამბობს, რომ კონფლიქტი ხშირად იყო მათ შორისო. ოჯახში 3 იყვნენ.

ადრე უჩივლა მამამ შვილს მცემდაო და ერთი წელი იჯდა მგონი.

შვილმა ხანდაზმულ მამას სასტიკად სცემა და სიკვდილამდე მიიყვანა. შემთხვევა წალენჯიხის ერთ-ერთი სოფელში რამდენიმე დღის წინ მოხდა.

პოლიციამ ბრალდებული იმავეს დღეს დააკავა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 11 პრიმა 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ სხეულის მძიმე დაზიანებას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ზურაბ ჟვანიას წლების წინ დაკარგული იარაღი ძმებ კაკულიების სახლში აღმოჩნდა

როგორ აღმოჩნდა ზურაბ ჟვანიას კუთვნილი იარაღები ე.წ. განგსტერების სახლში?

ყოფილი პრემიერ-მინისტრის წლების წინ დაკარგული ზიგზაუერისა და მაკაროვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები ძმებ კაკულიების სახლშია აღმოჩენილი.

ახლა საგამოძიებო უწყება არკვევს, მოხდა თუ არა გასროლა არაყიშვილის ქუჩაზე ჟვანიას კუთვნილი იარაღებიდან და საიდან აღმოჩნდა ის ძმების ნაქირავებ სახლში.

სკანდალურ საქმეზე კითხვები სხდომათა დარბაზში მოწმეებსაც დაუსვეს. მხარეების კითხვებს ზურაბ ჟვანიას მეზობელი და ვაკეში მომხდარი სისხლიანი თავდასხმის თვითმხილველი პასუხობდა.

ცნობისთვის, ძმებ კაკულიებს არაყიშვილის ქუჩაზე სერგი ქურთიაშვილის ჯგუფურად მკვლელობის მცდელობას, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, ასევე, საზღვრის უკანონო კვეთას ედავებიან. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება ასევე ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ძმებ კაკულიების მიერ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებთან, მათ შორის, ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმესთან შესაძლო შემხებლობასთან დაკავშირებით.

ცოლი დანით დაჭრა, სიდედრს კი სცემა

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სრულად გაიზიარა და მეუღლის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე და ძალადობის ორ ეპიზოდზე ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ოჯახში ძალადობისა და მუქარისთვის ნასამართლევმა პირმა განსაკუთრებული სისასტიკით, დანის დარტყმით სხეულის სხვადასხვა არეში ჭრილობები მიაყენა მეუღლეს და ფიზიკური ძალადობა განახორციელა მეუღლის დედის მიმართ. დროული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად, დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" პრიმა და „ვ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით) და 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით წარედგინა (ოჯახური ძალადობა).

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული წარდგენილ ბრალდებებში სრულად დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 19 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საზოგადოება

3-დან 6 იანვრის ჩათვლით საქართველოში უქმეები იქნება

საკანონმდებლო მაცნეზე „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ" მთავრობის დადგენილება გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის 2023 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები უქმე დღეებად განისაზღვრება.

ამასთან, „ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში სამსახურებს/მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება აღნიშნული დადგენილება, თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას.

ასევე აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე.

უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ დადგენილება არ შეეხება ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობას."

ლენტეხის მერს თავს დაესხნენ



საქართველოს პროკურატურამ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაზე მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2 ნოემბერს, დაბა ლენტეხში, ბრალდებულმა, დაბა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაზე შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა, რა დროსაც, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დააზიანა აღნიშნული შენობა, რასაც მოჰყვა ხანძარი.

უწყების ცნობით, გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს და საბრძოლო ვაზნებს. მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული „კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატი და 10 ცალი ქარხნული წესით დამზადებული საბრძოლო ვაზნა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 2 დეკემბერს დააკავეს. თავდაპირველად მას ბრალდება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

საგამოძიებო სამსახურმა „ფორმულას" ჟურნალისტის მიმართ ძალადობის ფაქტზე რუსეთის მოქალაქე ამხილა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ამხილა. ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 9 ნოემბერს, ქ. თბილისში, ალ. პუშკინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტი რ.წ. და ამავე ტელეკომპანიის ოპერატორი დ.ქ, რა დროსაც ისინი ცდილობდნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ე.კ.-ს ჩაწერას. ბრალდებული ე.კ. ჩაჯდა მისი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში, დაძრა იგი და განზრახ დააჯახა მის წინ მდგომ ჟურნალისტ რ.წ.-ს ფეხების არეში, რის შედეგადაც დაზარალებულმა მსუბუქი სახის დაზიანება მიიღო.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქმეზე ყველა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ჩაატარა და მოიპოვა დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც, 2022 წლის 20 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის მიმართ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დაიწყო.

ჟურნალისტების უფლებების და მათი პროფესიული საქმიანობის დაცვა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური ყველაფერს აკეთებს, რათა ამ ტიპის საქმეების გამოძიება სწრაფი და ეფექტიანი იყოს.

ქალეიდოსკოპი

სასკოლო ავტობუსის ხანდაზმული მძღოლი პედოფილი აღმოჩნდა

სინგაპურში სასკოლო ავტობუსის ხანდაზმული მძღოლი, რომელმაც არაერთხელ ჩაიდინა სექსობრივი ძალადობა ბავშვებზე, პედოფილიაში ამხილეს.

68 წლის გერი ალექსანდერ ტენის პირველი მსხვერპლი მისი მეგობარი ქალის ოთხი წლის გოგონა გახდა. 2006 წელს, სანამ გოგონას დედას ეძინა, მან ბავშვის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება ჩაიდინა.

რამდენიმე წლის შემდეგ პედოფილი საბავშვო ბაღში მოეწყო და სპეციალური მოთხოვნილების მქონე ბავშვების გადაყვანით იყო დაკავებული. მისი ერთ-ერთი მგზავრი იყო ხუთი წლის აუტიზმით დაავადებული ბიჭი და ის მას მუდმივად აიძულებდა სექსუალური ქმედებების ჩადენას. ბავშვზე ძალადობის ფაქტი მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ბიჭმა იგივე ქმედებები სხვა მოზრდილების მიმართაც განახორციელა. აღნიშნული დანაშაულის გახსნა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ბავშვი ვერ ლაპარაკობდა და არ შეეძლო მოეთხრო მომხდარის შესახებ.

2016 წელს ტენმა ნაცნობ ძიძას დაურეკა და ერთად სადილობაზე დაითანხმა. ძიძამ მასთან შეხვედრაზე თავისი დამქირავებლის გოგონაც წაიყვანა. ერთ მომენტში ქალმა ბავშვი პედოფილის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვა, რა დროსაც პედოფილმა გოგონას კაბის ქვეშ სურათები გადაუღო, შემდეგ კი მუხლებზე დაისვა. მოგვიანებით ის შეეცადა, კიდევ ორი ძიძა დაეყოლიებინა, მისთვის პატარა გოგონების ეროტიკული ფოტოსურათები გაეგზავნათ. საბოლოოდ ტენმა ერთ-ერთი დაითანხმა და ძიძამ მას მცირეწლოვანი გოგონას 51 ფოტოსურათი გაუგზავნა.

2017 წელს მამაკაცი ცხრაადგილიანი სასკოლო ავტობუსის მძღოლი გახდა. ბავშვები, რომლებიც მას სახლში მიჰყავდა, სავარაუდოდ, ასევე მისი ძალადობის მსხვერპლი გახდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო რვა წლის გოგონა, რომელსაც ტენი გასაქანს არ აძლევდა, ვიდეოზე იღებდა. საბოლოოდ ეს ყოველივე გოგონას დედისთვის გახდა ცნობილი და მან პოლიციას მიმართა. პედოფილი იმავე დღეს დააპატიმრეს.

ტენმა თავი დამნაშავედ ბრალდების ექვს პუნქტში ცნო. პროკურორმა სასამართლოზე პედოფილისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და 18 როზგის დარტყმა მოითხოვა.

ძაღლი ჯიპის საჭეს დაახტა და ის მეზობლის მანქანას დააჯახა

დიდი ბრიტანეთის სოფელ გრონანში ძაღლი პატრონის ჯიპის საჭეს დაახტა, რის შემდეგაც ის იქვე ახლოს გაჩერებულ მეზობლის მანქანას დაეჯახა.

60 წლის სიუ ბრიუერმა თავისი ქალიშვილის ბორდერკოლის ჯიშის ძაღლი, სახელად ფრეია, თავისი ავტომობილის ჯიპ ჩეროკის წინა სავარძლის წინ მოათავსა. როდესაც ქალი მიტრიალდა, ძაღლი მძღოლის სავარძელზე ახტა, რა დროსაც სიჩქარეთა კოლოფის სახელური მოძრაობის რეჟიმში გადაირთო.

შედეგად ჯიპი, რომელიც დაღმართზე იყო გაჩერებული, დაგორდა და მეზობლის კუთვნილ ავტომობილს დაეჯახა.

34 წლის შონ უოლერს ხმაური შემოესმა, გარეთ გამოვიდა და დაინახა, რომ მეზობლის მანქანა მის მანქანას იყო დაჯახებული. უოლერმა გარეთა სათვალთვალო კამერის ჩანაწერი ნახა და შენიშნა, რომ ჯიპის საჭესთან ძაღლი იჯდა. მან და მისი ოჯახის წევრებმა ეს ყოველივე თავშესაქცევ შემთხვევად ჩათვალეს და მანქანის დაზიანებისთვის კომპენსაცია არ მოუთხოვიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლუკაშენკომ პუტინს უარი უთხრა?!

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. დანაკარგებმა რუსი ოკუპანტების რიგებში უკვე 99.000-ს გადააჭარბა. უახლოეს დღეებში ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. ამავე დროს ბრძოლის ველზე რუსეთმა სტრატეგიულ წარმატებას ვერ მიაღწია, ვერ მოახერხა ვერც ბახმუტის და ვერც ავდეევკის აღება. ჩაიშალა მათი ალყაში მოქცევის მცდელობებიც. ფრონტის რიგ უბნებზე (მელიტოპოლი, სვატოვო, კრემენნაია) კი უპირატესობას უკრაინელები დაეუფლნენ.

ამ ფონზე რუსეთის დიქტატორი პუტინი მინსკში ჩავიდა. ის იქ თავის ბელორუს კოლეგას ლუკაშენკოს შეხვდა. მიზანი იყო ბელორუსის ჩათრევა უკრაინასთან ომში.

– პუტინი ხანგრძლივი, მომქანცველი ომისათვის ემზადება! ამიტომაც ფრონტზე ბელორუსის არმიის გაგზავნა ჰაერივით სჭირდება! – იტყობინება „აპოსტროფ ტივი“.

ლუკაშენკომ პუტინი ზარ-ზეიმით მიიღო. პრესის წინაშე გაკეთებული განცხადებები სადღეგრძელოებს უფრო მოგვაგონებდა. ლუკაშენკომ რუსულ-ბელორუსულ ე.წ. „ძმობაზე“ ვრცლად ისაუბრა. ამავე დროს პუტინის შენიშვნაზე, რომ დროა ინტეგრაციის უფრო ჩაღრმავებულ ფორმაზე გადასვლა, მიუგო:

– რასაკვირველია, ინტეგრაცია აუცილებელია! ეს, უწინარეს ყოვლისა ჩვენ, ბელორუსებს, გვჭირდება! თუმცა ყველაფერს გულდასმითი მომზადება სჭირდება!

ამის შემდეგ პრეზიდენტები დახურულ კარს მიღმა გაუჩინარდნენ. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, პუტინმა საკითხი კატეგორიულად დასვა: ბელორუსულმა არმიამ უკრაინაზე ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. ლუკაშენკომ მიუგო, რომ ბელორუსი რუსეთს მუდამ მხარს უჭერდა და მომავალშიც დაუჭერს. რაც შეეხება ფრონტზე ბელორუსული არმიის გაგზავნას, აქ ლუკაშენკო უაღრესად ფრთხილია:

– ჩვენს შეიარაღებულ ძალებში უდიდესი პრობლემებია! დღეისათვის მხოლოდ 15.000 ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი გვყავს!

ამრიგად, ბელორუსის თვითმარქვია პრეზიდენტმა პუტინს ფაქტიურად უარი უთხრა. ბელორუსული არმია კიევზე ხელმეორე ლაშქრობაში მონაწილეობას არ მიიღებს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ანალიტიკოსები.

ამავე დროს უკრაინელი გენერლის ნაევის ცნობით, ბელორუსის მხრიდან საფრთხე ძლიერდება. ქვეყანაში რუსული გავლენა ძალზე ძლიერია. ეს ყველა სფეროს შეეხება, დაწყებული რელიგიიდან, ძალოვანი სტრუქტურებით დამთავრებული. შესაბამისად, პუტინს ყველა ბერკეტი გააჩნია საიმისოდ, რომ აიძულოს ლუკაშენკო, დაემორჩილოს მის ნებას. თუ „ბაცკა“ მაინც გაჯიუტდა, შესაძლოა, ის უფრო დამჯერი სატელიტით შეცვალონ.

კირბი: „რუსეთს დიქტატის უფლება არა აქვს!“

თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ განაცხადა, რომ აშშ ყოველმხრივ დაეხმარება უკრაინას, კიევიც ყველა ოკუპირებულ ტერიტორიას, მათ შორის ყირიმსაც, დაიბრუნებს. შეკითხვაზე, გადასცემს თუ არა აშშ უკრაინას პეტრიოტის ტიპის რაკეტებს, კირბიმ მიუგო, დიახო. მაშინ ჟურნალისტი დაინტერესდა, ხომ არ გაღიზიანდება ამით რუსეთი.

ძველი ბახმუტისაგან აღარაფერი დარჩა

დონბასში ბრძოლები გრძელდება. ყველაზე მწვავე ხასიათი აქვთ ბრძოლებს ბახმუტისათვის. მას შემდეგ, რაც უკრაინელებმა ბახმუტის გარეუბნებიდან რუსი ოკუპანტები განდევნეს, ოკუპანტებმა ქალაქს სეტყვასავით დაუშინეს გრადები, რაკეტები და არტილერია.

– ძველი ბახმუტისაგან ფაქტიურად აღარაფერი დარჩა. ქალაქს, უფრო სწორად მის ნანგრევებს, ჩვენ ვაკონტროლებთ, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

გააფთრებული ბრძოლები არ წყდება არც სოლედართან, ოპიტნოესთან, ოზორნაიასთან და ა.შ. რუსებმა რამდენიმე პატარა სოფლის დაკავება მოახერხეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტრატეგიულ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

– განსხვავებული ვითარებაა ლუგანსჩინაზე, – აცხადებს უკრაინელი ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი. აქ ინიციატივას უკრაინელები ფლობენ. უკრაინელებმა კრემენნოესა და სვატოვოს მიმართულებით წაწევა მოახერხეს. უკრაინელები უკვე ამ ქალაქების ცენტრებს ბომბავენ.

აშშ-ის კონგრესში წლიური ბიუჯეტის გეგმა შეიტანეს

აშშ-ის კონგრესში ბიუჯეტის გეგმა შეიტანეს. ძირითადი პარამეტრების შეთანხმება რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის შეთანხმების შედეგად მოხერხდა.

ბიუჯეტში ნავარაუდევია უკრაინისათვის 44.9 მილიარდი დოლარის გამოყოფა. ეს თანხა უკრაინის არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას მოხმარდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ჰარის და მეგანს სამეფო ოჯახისგან ბოდიშის მიღება სურთ

პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი სამეფო ოჯახისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილს სურს, რომ სამეფო ოჯახმა მომავალი წლის მაისამდე აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა იმ ტკივილის და ზარალისთვის, რომელიც მათ წყვილს მიაყენეს. ეს თარიღი შემთხვევით არ შეირჩა. 2023 წლის 8 მაისს უნდა შედგეს დიდი ბრიტანეთის მეფედ კარლოს III-ის კურთხევა.

დოკუმენტური სერიალის „ჰარი და მეგანი“ ბოლო სამ ეპიზოდში გამოსვლისას ჰარიმ აღიარა, რომ მას მოუწევს იმ ფაქტთან შეგუება, რომ ვერასოდეს მიიღებენ სამეფო ოჯახისგან გულახდილი პასუხისმგებლობის აღებას, ან ბოდიშის მოხდას.

პენსიონერის უკანალიდან საარტილერიო ჭურვი გამოიღეს

საფრანგეთში 88 წლის პენსიონერის უკანალში პირველი მსოფლიო ომის დროინდელი საარტილერიო ჭურვი აღმოაჩინეს.

აღნიშნული შემთხვევა მიმდინარე წლის 17 დეკემბერს, ტულონის სენტ-მიუსის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში მოხდა. თავად პაციენტი ამტკიცებდა, რომ ჭურვი გაუვნებელყოფილი იყო, მაგრამ დაწესებულების თანამშრომლებმა გამნაღმველები გამოიძახეს და პენსიონერი შენობის გარეთ დადგმულ ცალკე კარავში მოათავსეს. ასევე ნახევარი საავადმყოფოს ევაკუაციაც განხორციელდა, ხოლო ის ავადმყოფები, რომლებიც საავადმყოფოში უნდა მოეთავსებინათ, სხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადაანაწილეს. საავადმყოფოში საშტატო რეჟიმში მხოლოდ გინეკოლოგიური და სამშობიარო განყოფილებები მუშაობდა.

მას შემდეგ, რაც გამნაღმველებმა დაადასტურეს, რომ ჭურვის აფეთქების საფრთხე არ არსებობდა, ექიმებმა პენსიონერს ოპერაცია ჩაუტარეს და უცხო სხეული მუცლის ღრუდან ამოაცალეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჭურვის დიამეტრი ხუთ-ექვს სანტიმეტრს, ხოლო სიგრძე 20 სანტიმეტრს შეადგენდა.

– ვაშლი, მანგო, პირის საპარსი ქაფის ჭურჭელი... ჩვენ ამ ყველა უჩვეულო საგნების პაციენტების უკანალიდან გამოღებას უკვე მივეჩვიეთ, მაგრამ ჭურვის? ასეთი შემთხვევა არასოდეს გვქონია, – განაცხადა საავადმყოფოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

სეოკის ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენი ტატო გრიგალაშვილია

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა (სეოკ) 2022 წელს საუკეთესო სპორტსმენად ტატო გრიგალაშვილი დაასახელა.

სეოკმა 2022 წლის სპორტული შედეგებით ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები „პულმან თბილისი აქსის თაუერსში“ დააჯილდოვა.

საუკეთესოდ დასახელებულმა 23 წლის ტატო გრიგალაშვილმა 2022 წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგო. ტატო იერუსალიმის მასტერსზეც ჭიდაობს და როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, შესაძლოა, წლის შემაჯამებელი ტურნირის ოქროს მედლის მფლობელიც კი იყოს.

ტატო გრიგალაშვილი:

– საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელება ძალიან გამიხარდა. ეს ჯილდო მოტივაციას მმატებს, რათა ქართველი ხალხისთვის უფრო მეტი რამ გავაკეთო. მადლობას გადავუხდი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ძიუდოს ფედერაციას, როგორც პირადად ჩემს, ისე ნაკრების მწვრთნელებსა და ექიმებს.

საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი სპორტის სათამაშო სახეობებში: ხვიჩა კვარაცხელია (ფეხბურთი);

ვიქტორ სანეევის სახელობის სპეციალური პრიზი – ოლიმპიურ მოძრაობაში მოპოვებული უნიკალური მიღწევებისთვის: ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა);

წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი: ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო);

წლის აღმოჩენა „ოლიმპიური იმედი“ ქალთა შორის: ანანო აფაქიძე (ბატუტზე ხტომა);

წლის აღმოჩენა „ოლიმპიური იმედი“ ვაჟთა შორის: გიორგი ელბაქიძე (თავისუფალი ჭიდაობა);

წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები ზამთრის სახეობებში: კარინა საფინა და ლუკა ბერულავა (ფიგურული ციგურაობა);

წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი: ბეჟან ჭიჭინავა (კრივი);

წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი ქალთა სპორტში: ზაურ სულაშვილი (ბატუტზე ხტომა).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

საბავშვო ლიტერატურულმა პრემიამ „ნაკადული“ გამარჯვებულები დააჯილდოვა

საბავშვო ლიტერატურულმა პრემიამ „ნაკადული“ ნომინანტების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გამართა. კონკურსი ჩატარდა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ორგანიზებით. კონკურსის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იყო 55 წიგნი. 12 მათგანი ოთხ ნომინაციაში გადანაწილდა.

ნომინაციაში საუკეთესო პროზაული წიგნი გამარჯვებულები გახდნენ თეა თოფურია „სახლი მწიფე გარგარის ქუჩაზე“; ლელა ცუცქირიძე „რაკრაკ-რუკრუკა ამბები“; აკაკი დაუშვილი „ხვლიკი კოსტას ამბები“.

ნომინაციაში საუკეთესო პოეტური წიგნი – ვასო გოლეური „დინოზავრებიდან კომპიუტერამდე“; რობერტ მესხი „ბეღურების ბაღი“.

ნომინაციების გამარჯვებულები პროექტის ფარგლებში შერჩეულმა ხუთწევრიანმა ჟიურიმ გამოავლინა. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზი და 2500-ლარიანი პრემია.

საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადულის“ მიზანია, ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ინტერესის გაზრდა. საბავშვო წიგნებზე მომუშავე ავტორების წახალისება და მათი შემოქმედების პოპულარიზება. პრემიის სახელი ერთ-ერთ პირველ, ლეგენდარულ ქართულ საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს“ უკავშირდება, რომელიც 1904-1927 წლებში გამოიცემოდა და მასთან თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლები და პოეტები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, ლეო ქიაჩელი, ეკატერინე გაბაშვილი...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ლომები მზეს მიფიცხებულ ნიანგს თავს დაესხნენ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მდებარე ვეტერბერხის ეროვნული პარკის ენტაბენის ნაკრძალში, ნიანგმა მოახერხა თავი დაეღწია ლომების პრაიდისთვის, რომლებიც მას თავს დაესხნენ. მომხდარი ვიდეოზე თვითმხილველმა გადაიღო.

15 წლის კონორ დოუსი ნაკრძალში ექსკურსიაზე იმყოფებოდა, როდესაც ყურადღება მიაქცია ლომს, რომელიც ბილიკზე მიდიოდა და წყალსაცავს მიუყვებოდა. მალე მას მისი რამდენიმე ახალგაზრდა თანამოძმე შეუერთდა. ისინი მიუახლოვდნენ ნიანგს, რომელიც მზეს ეფიცხებოდა და მოულოდნელად თავს დაესხნენ.

– ნიანგის გამო მანამდე არ მინერვიულია, სანამ მას ლომმა უკანა ფეხში პირი არ სტაცა და წყლისგან მოშორებით გაათრია. პრაიდის ნაწილი მას შეუერთდა და დრო და დრო ცდილობდა მისთვის შეეტია, – განაცხადა დოუსმა, რომელიც ნანახმა გააოგნა.

საბოლოოდ რეპტილიამ მაინც მოახერხა ლომებისგან თავის დაცვა, წყალსაცავში დაბრუნდა და გაცურა.

– მსგავსი არაფერი მინახავს, ჩვენმა გიდმაც კი გვითხრა, რომ არასოდეს სმენია, ლომები თავს დასხმოდნენ ნიანგს, – აღნიშნა დოუსმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ნიკა ამაშუკელი გრანდებს ზედიზედ მეორე წელი განსჯის

28 წლის ქართველი მსაჯი ნიკა ამაშუკელი 2023 წლის 26 თებერვალს საფრანგეთსა და შოტლანდიას შორის ექვსი ერის მესამე ტურის შეხვედრას განსჯის. აღსანიშნავია, რომ ჩვენებურს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უძველეს საერთაშორისო რაგბის ტურნირზე ზედიზედ მეორე წელია იწვევენ.

ამაშუკელი გახდა პირველი მსაჯი, რომელიც ტიერ 2 სარაგბო ქვეყნებიდან ამ ტურნირზე მიიწვიეს. შარშან ის საფრანგეთ-იტალიაზე გვერდითი, ხოლო ირლანდია-იტალიაზე მთავარი მსაჯი იყო.

სასიამოვნო ის არის, რომ მსოფლიო თასის წინ ასეთი მაღალი დონის ტურნირზე კვლავ მიიწვიეს, რასაც წინ უძღოდა ამაშუკელის დანიშვნები მაღალი დონის თამაშებზე ოთხ ერზე, ზაფხულისა და შემოდგომის ტესტ-მატჩებზე, ასევე საკლუბო ტურნირებზე.

ნიკა ამაშუკელი:

– ზედიზედ მეორედ წარვდგები ექვს ერზე მთავარი მსაჯის რანგში და უზომოდ გახარებული ვარ. 26 თებერვალს „სტად ფრანსეზე“ საფრანგეთისა და შოტლანდიის შეხვედრას განვსჯი. ყველამ იცის, როგორი მებრძოლი გუნდია შოტლანდია და როგორ ჩინებულ რაგბის თამაშობს საფრანგეთი. ტურნირზე პირველი დანიშვნა ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო და ბედნიერი ვარ, ექვსი ერის ნაწილი კიდევ ერთხელ რომ გავხდები და იქ ჩემს ქვეყანას წარვადგენ.

ვფიქრობ, ჩემი იქ ყოფნა ძალიან დიდი სარგებლის მომტანი იქნება ქართული რაგბისთვის. გარდა ამისა, მსოფლიო თასის წინ, ასეთი მაღალი დონის ტურნირში მოხვედრა იმის ნიშანია, რომ მსოფლიო რაგბის თვალთახედვის არეალში ვარ და მაქვს შანსი მოვხვდე იმ 19 მსაჯს შორის, რომლებიც 2023 წლის საფრანგეთის მსოფლიო თასს მოემსახურებიან.

მას შემდეგ, რაც ნიკა ამაშუკელმა ტრავმების გამო თამაშს თავი დაანება და მსაჯობას მიჰყო ხელი, მისთვის ყოველი მომდევნო წელი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ 2022 წელი ყველა წინამორბედზე განსხვავებულია.

ზაფხულში, სამხრეთ აფრიკაუელსის ტესტ მატჩებისა და ოთხი ერის ტურნირზე მსაჯობის შემდეგ, მას ურთულესი შემოდგომა ჰქონდა და 8 კვირა გადაფრენებსა და უმაღლესი დონის საერთაშორისო რაგბში გაატარა.

– უკვე ერთი წელია, რაც ელიტაში ფეხი მყარად შევდგი და, მას შემდეგ, ფრენებისა და თამაშებისგან, ფაქტობრივად, დასვენება არ მქონია. თუმცა, წლევანდელი ნოემბერი მაინც გამორჩეული იყო – მსოფლიო რაგბმა დიდი თამაშები მანდო. რაც უფრო მაღალ დონეზე ადიხარ, მეტია პასუხისმგებლობა, უფრო რთულდება ჩვენი საქმე და ამისთვის მზად უნდა იყო. მაყურებელი ხედავს მხოლოდ 80 წუთს, მის მიღმა კი, უზარმაზარი შრომა და ენერგიაა ჩადებული. თუმცა, ეს არის, რასაც პირადად ჩემთვის უზარმაზარი ბედნიერება მოაქვს.

შემოდგომა დავიწყე იაპონიით, შემდეგ დუბლინში ჩავედი, რასაც ლონდონში მსოფლიო რაგბის მსაჯთა შეკრება მოჰყვა. ლონდონიდან დუბაიში გადავფრინდი და კვლავ ინგლისის დედაქალაქში დავბრუნდი. ამას მოყვა ტოპ 14-ისა და ჩემპიონთა თასის თამაშები. დროის მცირე მონაკვეთში დიდი მანძილის დაფარვა მომიწია, მაგრამ სპორტისგან ასეთი სიამოვნება ჯერ არ მიმიღია.

ამაშუკელმა ყველა მნიშვნელოვანი მატჩი გაიხსენა:

იაპონია-ახალი ზელანდია

– დაძაბულობა, წნეხი და ინტენსივობა დიდი არ იყო. გახსნილი, სანახაობრივი თამაში გამოვიდა და მიუხედავად იმისა, რომ რეტალიკისთვის წითელი ბარათის ჩვენება მომიწია, მთლიანობაში კარგი შოუ გამოვიდა.

ირლანდია-სამხრეთ აფრიკა

– ეს უკვე აბსოლუტურად განსხვავებული თამაში გამოვიდა. დიდი იყო წნეხი და ინტენსივობა. თამაშის დროს ძვლების ხმა ისმოდა. „ავივაზე“ საოცარი ატმოსფერო იყო. როდესაც შენს გარშემო ყველაფერი ინგრევა, რთულია სიმშვიდის შენარჩუნება. იყო დიდი გადაწყვეტილებები და სამართლიანად გაიცა ჯარიმები. იყო გამორჩენები, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, მთლიანობაში კი ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა.

პორტუგალია-კენია

– მსოფლიო თასის შესარჩევ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დუბაიში პორტუგალიამ 85:0 მოიგო. ძალიან დიდი იყო კონტრასტი წინა შეხვედრებთან შედარებით, მაგრამ ჩემს მეგობარ მსაჯებს შევხვდი, რაც სასიამოვნო იყო.

ინგლისი-ახალი ზელანდია

– აქ გვერდითი მსაჯი ვიყავი და ზუსტად ისეთივე ატმოსფერო იყო, როგორიც დუბლინში. „თვიქჰემზე“ 80.000-ზე მეტი მაყურებელი იყო და სტადიონი ემოციებისგან ლამის დაინგრა, განსაკუთრებით დასკვნით 15 წუთში, როდესაც ინგლისი თამაშში დაბრუნდა და თამაში ფრედ დაასრულა. ადამიანებს ასეთი ხმების გამოცემა თუ შეეძლოთ, ვერ წარმომედგინა. ახლაც ჟრუანტელი მივლის, ის თამაში რომ მახსენდება.

საყლუბო და ტესტ-ჰაგბი

ნოემბრის ტესტ-მატჩების დასრულების შემდეგ, ნიკა ამაშუკელი ჯერ ტოპ 14-ის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის სამსაჯოდ მიიწვიეს, შემდეგ კი ჩემპიონთა თასი დაიწყო და ქართველმა რეფერემ ორივე ტურში იმუშავა.

– ერთი კვირის დასვენების შემდეგ ჩვენთვის, ქართველებისთვის საყვარელ ტოპ 14-ის მატჩზე მიმიწვიეს. რასინგ 92-ისა და ტულონის შეხვედრა ისეთი არ გამოვიდა, როგორიც ფურცელზე ჩანდა. სასიამოვნო იყო ის, რომ შეხვედრაში სამმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა – გურამ გოგიჩაშვილმა და გია ხარაიშვილმა რასინგ 92-ის, ხოლო ბექა გიგაშვილმა ტულონის შემადგენლობაში. გოგიჩაშვილი და გიგაშვილი შერკინებებში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და მეც, რა თქმა უნდა, მათ მხარეს დავდექი. ვინც უყურა თამაშს, მოისმენდა რამდენიმე ქართულ გადალაპარაკებას. თავიდან მეგონა, რომ ქართველები ერთმანეთს დაინდობდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ერთმანეთის გაჭყლეტა უნდოდათ, რაც მათ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ორივე მხარეს მომიწია ჯარიმების გაცემა, ბოლოს კი, ბიჭებს გადავეხვიე და ასე დავშორდით ერთმანეთს.

რაც შეეხება ჩემპიონთა თასს, ის სამსაჯოდ ურთულესია, თუმცა ჩემი საყვარელი ტურნირია. ეს არის სხვადასხვა სარაგბო კულტურის დაპირისპირება საკლუბო დონეზე. ინგლისური სარასენსისა და შოტლანდიური ედინბურგის თამაში ისეთი ინტენსიური იყო, სუნთქვა არ შეიძლებოდა. ყველა მორაგბე ბოლომდე იბრძოდა და საბოლოოდ ინგლისელებმა 4 ქულის სხვაობით მოიგეს. გუნდის კაპიტნები – ოუენ ფარელი (სარასენსი) და ჯეიმი რიჩი (ედინბურგი) მოედანზე საკმაოდ რთული პერსონები არიან და ესეც დიდი გამოცდილება იყო.

ინტენსიური გამოვიდა მონპელიესა და ოსპრეიზის შეხვედრაც. უელსელებმა ამ თამაშში სული და გული ჩადეს. ყველა მათგანი ყოველი სანტიმეტრისთვის იბრძოდა და არც ერთ ეპიზოდში არაფერს თმობდა. კვირიდან კვირამდე ამ ინტენსივობის მატჩების მსაჯობით გიგროვდება ის გამოცდილება, რაც მაღალი დონის თამაშებისთვისაა საჭირო. რაქში უამრავი უნიკალური რამ შეიძლება მოხდეს და როდესაც მსგავსი ეპიზოდები ხშირად მეორდება. ასევე მნიშვნელოვანია კომუნიკაცია ვიდეო რეფერისთან, კაპიტნებთან, განსაკუთრებით, არაინგლისურენოვანი მსაჯებისთვის. ყველა თამაშს ახლავს დეტალური ანალიზი, ყოველი ეპიზოდის გარჩევა, რაც ასევე დიდ გამოცდილებას გმატებს.

და რამდენად განსხვავებულია მაღალი დონის სანაკრებო და საკლუბო, საერთაშორისო რაგბი, ამაშუკელი ამასთან დაკავშირებითაც საუბრობს.

– საერთაშორისო ტესტ-მატჩებში სტრუქტურა უფრო დალაგებულია, ვიდრე საკლუბოში. საკლუბოშიც არავინ არაფერს თმობს, მაღალია ინტენსივობა, მაგრამ როდესაც მოთამაშეები, გუნდი, საკუთარ ქვეყანას წარმოადგენს, აქ ყველას პასუხისმგებლობა ბევრად უფრო მაღალია. ამ დროს უფრო დიდი წნეხია მსაჯებზეც, რასაც მედია იწვევს. ქვეყნებს შორის დაპირისპირებებს მეტი გაშუქება აქვს. მედიამ იცის, რომ მსაჯის ყველა ქმედებას დიდი გამოხმაურება მოყვება და სულ ცდილობს, რამე ხელჩასაჭიდი იპოვოს.

სწორედ ამიტომ, მსოფლიო რაგბის 24-ივე მსაჯს მენტალური გამძლეობა მოგვეთხოვება. კომენტარებს ჩვენი ახლობლები, ოჯახის წევრები კითხულობენ და განიცდიან. ხშირად იქით მიწევს მათი დაწყნარება. ცოტა ხნის წინ უეინ ბარნსმა ოჯახის წევრებზე მიიღო მუქარა, რაც უკვე ყოველგვარ ზღვარს ცდება. ეს არის მედიის გამოხმაურების შედეგი, მაგრამ ყოველთვის ყველაფერი ისე არ არის, როგორც იწერება. ყველა ჩვენს გადაწყვეტილებას აქვს ახსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯებს არ გვაქვს ამის შესაძლებლობა, როგორც, მაგალითად, გუნდებს, მწვრთნელებს ან მოთამაშეებს. კლუბებს კი გულშემატკივრების კონკრეტული კონტინგენტი ყავს და თამაშებს ამხელა გამოხმაურება არ მოყვება. მთლიანობაში, ინტენსივობით და ვნებათაღელვით, უმაღლესი დონის საკლუბო და სანაკრებო რაგბი დიდად არ განსხვავდება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ქართველი მორაგბეების მარცხი და ლელოები

ევროპაში სარაგბო ჩემპიონთა თასზე, ჩელენჯ კაპზე და საფრანგეთის პრო დ 2-ში მორიგი სარაგბო ტურის მატჩები გაიმართა, სადაც ქართველმა სხვადასხვა ხარისხის თამაშები გამართეს.

ჩემპიონთა თასის მეორე ტურში სამმა ჩვენებურმა მიიღო მონაწილეობა და სამივეს გუნდმა მარცხი განიცადა. სასიხარულო იყო, რომ გიორგი კვესელაძე სრულად გამოჯანმრთელდა და ლენსტერის წინააღმდეგ თავისი გლოსტერის ღირსება 80-ვე წუთში დაიცვა. თუმცა, ინგლისური კლუბი ირლანდიაში სასტიკად განადგურდა – 0:57.

ბორდომ აფრიკულ შარქსს უმასპინძლა და ბონუსით დაკმაყოფილდა – 16:19. ფრანგთა შორის ლექსო ყაულაშვილმა პირველიდან 58-ე წუთამდე ითამაშა, 4 წუთი დაისვენა, რადგან მალევე ტრავმირებული პარტნიორი ისევ შეცვალა და ბოლომდეც დარჩა. სტუმართა შერკინებას კი, როგორც ცნობილია, ქართველი სპეციალისტი აქვსენტი გიორგაძე წვრთნის.

ასევე ბონუსი მიიღო კლერმონმაც, რომლის შერკინებასაც ქართველი ავარჯიშებს – დავით ზირაქაშვილი. ფრანგული კლუბი ინგლისში ლესტერთან 16:23 დამარცხდა და მის რიგებში საწყისი 49 წუთი დუდუ ქუბრიაშვილმა ჩაატარა.

ჩელენჯ კაპზე, რანგით მეორე ევროთასზე ქართველთა წარმომადგენლობა ბევრად სოლიდური იყო. სტად ფრანსეში ერთბაშად 4 ჩვენებური იყო: ბურჯები ვასილ კაკოვინი, გიორგი მელიქიძე, სერგო აბრამიშვილი და მესამეხაზელი გიორგი ცუცქირიძე, რომელმაც მინდორი მორიგი ტრავმის გამო მე-13 წუთზე დატოვა. პარიზელებმა სამხრეთ აფრიკაში იქაურ ლაიონსთან 12:30 წააგეს.

ბრივმა შინ ირლანდიურ კონახტთან ბონუსით წააგო – 24:31. ფრანგული კლუბის შემადგენლობაში უკვე მე-15 წუთზე ვანო კარკაძე გამოჩნდა, რომელმაც ბოლომდე ითამაშა, თან 47-ე წუთიდან სინბინში ყოფნაც მოასწრო.

პერპინიანმა გლაზგოში იქაურ უორიორზთან 18:26 წააგო. კატალონიელთა სასტარტოში გიორგი თეთრაშვილი იყო, ვინც 46-ეზე შეცვალეს.

ბაიონი შინ იტალიურ ტრევიზოსთან შერცხვა – 7:45. ბასკურ კლუბში ბოლო 14 წუთი ბადრი ციხისთავმა ითამაშა, ვისთვისაც ეს იყო პროფესიული დებიუტი. ეს თინეიჯერი ბურჯი ქომაგებს ასაკობრივი ნაკრებიდან უნდა ახსოვდეთ.

ერთადერთი წარმატება კი ტულონს მიუძღვის, რომელმაც ინგლისურ ბათს ბონუსით მოუგო – 29:7. ბექა გიგაშვილი მასპინძელთა რიგებს შესვენების შემდეგ შეემატა.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში პირველი წრის ბოლო ტური გაიმართა, რომელშიც 18-მა ქართველმა მიიღო მონაწილეობა.

ჯამური შედეგი ძალზე შთამბეჭდავია – ტურში 4 ქართული ლელო დაფიქსირდა, რასაც აბჟანდაძის ფეხით მოხვეჭილი ქულებიც დაერთო.

ბიარიცი ბეზიეში ბონუსით დამარცხდა – 12:17 და ბასკთაგან ლელო თორნიკე ჯალაღონიამ მიითვალა. ეს „ბორჯღალოსანი“ მესამეხაზელისთვის მიმდინარე სეზონში მეორე ლელო იყო.

აი, 20 წლის ბექა შვანგირაძემ კი რეგულარული ჩემპიონატის ნახევარი თავისი მესამე ლელოთი დახურა. მისმა ორიაკმა რუანში 26:6 იმარჯვა და საშობაო შესვენებაზე მე-6 ადგილის დაკავებით გავიდა, რომელიც ფლეი ოფში მოხვედრის ტოლფასია.

მონ-დე-მარსანის ბურჯმა ლაშა მაჭარაშვილმა კარკასონის განადგურებას წერტილი გაწითლებულ დროში დაუსვა – 42:13. ეს ჩვენებურისთვის მიმდინარე სეზონში პირველი ლელოა.

და ბოლოს თედოზეც ვთქვათ: მონტობანმა ანგულემს უმასპინძლა და 25:19 დაამარცხა. ამ 25 ქულიდან 13 ქართველი მგეზავის ანგარიშზეა. აბჟანდაძემ სეზონში თავისი პირველი ლელო გაიტანა, რასაც 1 გარდასახვა და ორი ჯარიმაც დაურთო და პრო დ 2-ში პირადი სეზონური ანგარიში 56 ქულას გაუტოლა. მთავარი კი ისაა, რომ მონტობანი გასავარდნ ზონას 2 ქულით დაშორდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სოფელი ხევსურეთში; 2. საბჭოთა ბელადი; 3. უბანი სოხუმში; 4. რაიონი თბილისში; 8. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 9. ძვირფასი ქვა; 11. ნიდერლანდელი ზღვაოსანი, ავსტრალიის ერთ-ერთი აღმომჩენი და მკვლევარი; 12. ცხენოსნური შეჯიბრი; 14. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 16. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 17. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 19. შტატი აშშ-ში; 21. სპილენძის ჩასაბერი სასიგნალო, მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 5. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისთვის; 6. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 7. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 10. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 13. შავი და თეთრი შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 18. დესერტი, ტკბილეული; 20. მძაფრი დაცინვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 22. ხაშურის ძველი სახელწოდება; 23. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 24. მუავაგამძლე სამშენებლო მინერალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რომბი; 5. თუჯი; 6. ლავაში; 8. ოკრიბა; 11. სტიპიჩეზი; 13. ბრეგაძე; 14. დეკრეტი; 15. ტიციანი; 19. გალო.

თარაზულად: 1. ხელვაჩაური; 4. კნეთელი; 7. ხავერდი; 9. ბროკოლი; 10. ისტრი; 12. გლიზმანი; 16. მალაქიტი; 17. ლეკლერერი; 18. ბრაუნინგი; 20. ზოფხიტო; 21. გედი; 22. სიტროენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კატარი; 2. ოროველა; 3. კადილაკი; 4. მინისტრი; 8. საქსაფონი; 9. ტრიპიტაკა; 11. ბაგრატი; 12. ნავი; 14. ალტი; 16. ღრმაღელე; 17. ტაკელაჟი; 19. ბოლიდი; 21. სელბი.

თარაზულად: 5. ლანგუსტი; 6. მონპელიე; 7. ფარვატერი; 10. სამაია; 13. პრიორი; 15. ღვარძლი; 18. არგონი; 20. ალკალა; 22. ფილისტერი; 23. ალავერდი; 24. აბორდაჟი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 დეკემბერი

- აშშ დოლარი — **2.6646**
- ევრო — **2.8287**
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — **3.2314**
- 100 რუსული რუბლი — **3.7721**

ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისათვის



ნეიმარი: „სანაკრებო კარიერას აუცილებლად გავაგრძელებ“

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საფეხბურთო სამყარო ისევ ამ ტურნირზე საუბრობს და ნეიმარის თქმით, ის სანაკრებო კარიერის დასრულებას არ აპირებს. ნეიმარმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის აუცილებლად დაეხმარება ბრაზილიას ტიტულების მოგებაში: „მარცხი და ტურნირიდან გამოთიშვა ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ დანებებას და გაჩერებას არ ვაპირებ. მინდა, რომ ბრაზილიელი გულშემატკივარი გავახარო და მათ იმედი დავუბრუნო“.

ხავი: „მესის ტრიუმფმა ძალიან გამახარა“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ თავის ყოფილ თანაგუნდელზე ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი წარმატება ძალიან უხარია. ხავის თქმით, მესიმ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება დაიმსახურა: „მესი არა მარტო შესანიშნავი ფეხბურთელია, არამედ ჩემი მეგობარიც არის და მისი ყველა გამარჯვება მიხარია. არგენტინამ ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა და ისინი გამარჯვებას იმსახურებდნენ“.

რობერტ ლევანდოვსკი: „ფინალი საფეხბურთო ზეიმი იყო“

ბარსელონას და პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო, რაც მას ოდესმე უნახავს: „ასეთ ფინალზე შეიძლება მხოლოდ იოცნებო. გუნდებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს და მიხარია, რომ მესიმ მოიგო, რადგან ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ცოლ-ქმარი შავი კატის წყალობით გამილიონერდა



დიდი ბრიტანეთის სასექსის საგრაფოს მკვიდრი ცოლ-ქმარი თვლის, რომ მილიონერები ქუჩიდან აყვანილი შავი კატის წყალობით გახდნენ.

ხუთი წლის წინ 71 წლის ტონი პირსმა და მისმა 63 წლის მეუღლე დებმა თავი ძლივს აარიდეს გაკოტრებას. მაშინ ტონის სამსახურის მიტოვება მოუხდა და ის და დები ვალებში ჩაეფლნენ. ვითარებიდან ერთ-ერთ გამოსავლად მათი საყვარელი სახლის გაყიდვა რჩებოდა. თუმცა მალე მათ ცხოვრებაში მაწანწალა ქუჩის კატა შემოვიდა, რომელსაც ბილი დაარქვეს. წყვილი თვლის, რომ სწორედ მან შეცვალა მათი ცხოვრება.

მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, ცოლ-ქმარი მაწანწალა კატაზე ზრუნავდა. პირსის თქმით, მათ და კატას ბევრი რამ საერთო ჰქონდათ. ისევე, როგორც ბილი, ისინიც შესაძლოა საცხოვრებელი ბინის გარეშე დარჩენილიყვნენ. საბოლოოდ წყვილმა გადაწყვიტა, კატა შეეფარებინათ და არც უნანიათ. სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ ცოლ-ქმარმა მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო ლატარიის გათამაშებაში.

– ზოგიერთები თვლიან, რომ შავ კატას წარუმატებლობა მოაქვს, მაგრამ მე ამას არ ვეთანხმები, – განაცხადა დებმა.

ეს მოგება ცოლ-ქმარს დაეხმარა სახლის შენარჩუნებაში, ასევე მის შეკეთებასა და ნორფოლკში უძრავი ქონების შეძენაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

22 დეკემბრისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. გამორიცხული არ არის დიდი სკანდალი ძველ პარტნიორთან. ** კურო** – იკითხეთ ფილოსოფიური და კლასიკური ლიტერატურა. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. ინიციატივას ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გადაღლას ერიდეთ. მოსალოდნელია პრობლემები ახლო ნათესავებთან. **კირჩხიბი** – დღეს შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ეს საოცარ სულიერ კმაყოფილებასა და სიმშვიდეს მოგგვრით. **ლომი** – ეჭვიანობისაგან გათავისუფლდით. წყენას ნუ დაიმახსოვრებთ. გაუფრთხილდით ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან. **ქალწული** – თქვენი პრობლემების შესახებ ნურავის უამბობთ. ეცადეთ, საკუთარი თავის რწმენა შეინარჩუნოთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში იფრთხილეთ, განსაკუთრებულად დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები. საღამოს სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **ღრიანცელი** – პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. მატყუარა და კონფლიქტური ადამიანებისაგან თავი შორს დაიჭირეთ. **მშვილდოსანი** – ინტიმურ სფეროში გიმარჯლებთ. შანსი გეძლევათ, საკუთარი პრობლემები თავად მოაგვაროთ. **თხის რქა** – სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, შედეგებზე დაფიქრდით. კონფლიქტს თავიდან იოლად აიცილებთ. **მერწყული** – იყავით დიდსულოვანი და გულუხვი. ფინანსურ სფეროში დიდი წარმატება გელით. **თევზები** – ერიდეთ შორეულ მგზავრობას. საღამო საიმედო მეგობრების წრეში გაატარეთ.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქმარი ცოლს ტელეფონზე ურეკავს:

– საყვარელო, ძალიან მომენატრე, სახლში მოვდივარ, შენზე ვოცნებობ, საწოლზე მწოლიარეს წარმოგიდგენ...

– პური იყიდე!

•••

მამა შვილს ეკითხება:

– აბა, შვილო, უკვე დიდი ხარ და გადაწყვიტე, რა გინდა, რომ გამოხვიდე?

– სულ ეს არის?

– არა, კიდევ მებაღე, სანტექნიკოსი და პიცის დამტარებელი.

მამამ კეფა მოიფხანა და მერე ცოლს მიუბრუნდა:

– მგონი, ამ შობელძაღლმა, ის პორნო კასეტა ნახა.

•••

საკმაოდ სიმპათიური ფსიქოლოგი ქალი კლიენტ მამაკაცს ეუბნება:

– მომიყევით თქვენი შიშების შესახებ, ვინაიდან, თუ ადამიანს რაიმესი ძალიან ეშინია, მაშინ ის მას აუცილებლად შეემთხვევა.

– ბოლო დროს ძალიან მაშინებს ის, რომ მე და თქვენ სექსი გვექნება.

•••

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი:

– აბა წავიდა პირველი, მიყვა მეორე, მესამე. პარაშუტები არ დაგვავიწყდეს, არ დაგვავიწყდეს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მატილდა გვარლიანი „ამომავალი ვარსკვლავის“ ნომინანტად დასახელდა



ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში სულ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება – ის მოდის კვირეულებში მონაწილეობს და წამყვანი დიზაინერების ჩვენებებშიც არის ჩართული.

ქართველი ლამაზმანი ერთ-ერთმა გავლენიანმა ვებ გვერდმა – მოდელს.ქომ-მა ნომინაციაში „ამომავალი ვარსკვლავი“ ერთ-ერთ ნომინანტად დაასახელა. სხვადასხვა ქვეყნის მოდელებთან ერთად, მატილდა რჩეულთა შორის დასახელდა.

იუმორისტები და მომღერლები ნიუ იორკში კონცერტს გამართავენ

5 იანვარს ნიუ იორკში ქართველი იუმორისტები და მომღერლები ერთობლივ კონცერტს გამართავენ. საახალწლო წვეულებაში მონაწილეობას მიიღებენ ვახო ბიჭიკაშვილი, ნიკა არაბიძე, თამუნა ლეკვეიშვილი, თათია სულუაშვილი, სალომე ქათამაძე, ზალიკო ბერგერი, გიორგი ნიკოლაიშვილი. სპეციალურად ნიუ იორკისთვის მომღერლებმა და იუმორისტებმა განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამა მოამზადეს. ისინი ახალ 2023 წელს ნიუ იორკში მცხოვრებ ქართველებს მიულოცავენ.

მწერალ ნოდარ მაჭარაშვილს მეფე ერეკლეს სამეფო ორდენი გადაეცა

მწერალი ნოდარ მაჭარაშვილი რომანისთვის „ავი მუსაიფი“ მეფე ერეკლეს სამეფო ორდენით დააჯილდოვეს.

ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი რომანის ავტორს საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა ნუგზარ ბაგრატიონ გრუზინსკიმ მეფე ერეკლე მეორეს სამეფო ორდენი და სიგელი პირადად გადასცა.

ნოდარ მაჭარაშვილის „ავი მუსაიფი“ მკითხველში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. წიგნი დიდი მოთხოვნის გამო, ახალი ტირაჟით რამდენჯერმე დაიბეჭდა.

რუსთაველის თეატრში საახალწლოდ „პატარა უფლისწული“ გათამაშდება

25 დეკემბერს რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე „პატარა უფლისწული“ პრემიერა გაიმართება.

„დასანახს მხოლოდ გულით დაინახავ, მთავარი თვალისთვის უხილავია“ – ეს სიტყვები მწერალ ანტუან დე სენტ ეგზიუპერს ეკუთვნის.

„ექსპო ჯორჯიაში“ წიგნის საახალწლო ფესტივალი ჩატარდა

„ექსპო ჯორჯიას“ მე-6 პავილიონში წიგნის საახალწლო ფესტივალი ჩატარდა, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება გახლდათ. ფესტივალმა გაერთიანა ასოციაციის მიერ დაფუძნებული წიგნის საახალწლო ფესტივალი და 2021 წელს, იუნესკოს პროექტი „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ფარგლებში დაარსებული საბავშვო წიგნის ფესტივალი. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო წიგნები როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედმა თითქმის ყველა გამომცემელმა და წიგნის გამავრცელებელმა ორგანიზაციამ, რომლებმაც სტუმრებს ფასდაკლებები შესთავაზეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.

წიგნის საახალწლო ფესტივალი მოიცავდა როგორც წიგნების გამოფენა-გაყიდვას, ასევე საბავშვო ღონისძიებებს ფესტივალის მთავარ სცენაზე და საბავშვო სივრცეში, ახალი გამოცემების წარდგენას, შეხვედრებს ავტორებთან, საახალწლო ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარების გამოფენა-გაყიდვასა და სხვადასხვა სახის გასართობ აქტივობას.

ხელოვნების სასახლეს 99-გრამიანი ბაჯაღლოს საათი საჩუქრად გადაეცა

უხუცესმა მუზეუმელმა კლარა მაჭარაშვილმა ხელოვნების სასახლეს მამის – სოლომონ მაჭარაშვილის 99-გრამიანი ბაჯაღლოს საათი საჩუქრად გადასცა.

ინფორმაცია და ფოტოები სოციალურ ქსელში ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– 99 გრამი ბაჯაღლოს ეს უნიკალური საათი, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ჟენევაშია დამზადებული, დღეს სხვიტორიდან უხუცესმა მუზეუმელმა კლარა მაჭარაშვილმა ჩამოიტანა და საჩუქრად გადმოგვცა. აქვე დასძინა: „ამ საათს გჩუქნით მამაჩემის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ჩემი ხალხის პატივისცემის ნიშნად, თქვენი მუზეუმის და კულტურის სამინისტროს ნდობის დასტურად“. ეს საათი ძვირფას ისტორიას ინახავს, ის აკაკი წერეთლის სახლეულის მკვიდრს სოლომონ მაჭარაშვილს ეკუთვნის, 1924 წელს სოლომონი აჯანყებულებთან ურთიერთობის ბრალდებით კალუგაში გადაასახლეს. 1935 წელს დაბრუნდა და იქორწინა. ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1937 წელს სამეულმა დააპატიმრა და დახვრიტეს. კლარა მაჭარაშვილი დაბადებული არც იყო, მას მამისაგან სახსოვრად მხოლოდ ეს საათი შემორჩა და დღეს ეს ყველაზე ძვირფასი ქართველ ხალხს უსახსოვრა. ძალიან ვაფასებთ ჩვენი მისამართით გამოხატულ ამ დიდ ნდობას. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი კლარას მამა ძალიან ამაყი იქნებოდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ფრანგული პური; 2. ქალების საცხოვრებელი, განცალკევებული სადგომი მუსლიმანურ სახლებში; 3. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ნავსადგური საქართველოში; 6. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. მონასტერი სამაჩაბლოში; 11. ოლქი ირანში; 13. ქართული მინერალური წყალი; 14. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 15. ბერძნული ცეკვა; 19. მარადმწვანე ხვიარა, მცოცავი მცენარე.

თარაზულად: 1. გერმანიის პარლამენტი; 4. უბანი ძველ თბილისში; 7. ფიჭიანი თაფლი; 9. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 10. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 12. მონასტერი რაჭაში; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 17. პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე წყლის ან ნავთობის ამოსაქაჩად; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. წყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილების უნარის მქონე წყლის ცხოველთა საერთო სახელწოდება; 21. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა